# სასამართლო პროცესების ფოტო-ვიდეო-აუდიო ჩაწერის მარეგულირებელი კანონმდებლობისა და პრაქტიკის ანალიზი 2013 წელს განხორციელებული საკანონმდებლო ცვლილებების ფონზე

USAID
ამერიკელი ხალხისგან

EAST • WEST MANAGEMENT INSTITUTE
მართლმსაჯულების დამოუკიდებლობისა
და სამართლებრივი გაძლიერების პროექტი


თბილისი
2014

საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია

# სასამართლო პროცესების ფოტო-ვიდეო-აუდიო ჩაწერის მარეგულირებელი კანონმდებლობისა და პრაქტიკის ანალიზი 2013 წელს განხორციელებული საკანონმდებლო ცვლილებების ფონზე

კვლევის განხორციელება შესაძლებელი გახდა ამერიკელი ხალხის გულუხვი დახმარების წყალობით, რომელიც აშშის საერთაშორისო განვითარების სააგენტოს (USAID) მეშვეობით იქნა გაწეული. კვლევის შინაარსზე პასუხისმგებელია საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია. ის არ ასახავს USAID-ის, აშშ-ის მთავრობის ან „აღმოსავლეთ-დასავლეთის მართვის ინსტიტუტის“ შეხედულებებს.

**თბილისი**
**2014**

**ავტორი:** **ანა ნაცვლიშვილი**

**რედაქტორი:** **ხათუნა ყვირალაშვილი**

**ტექ. რედაქტორი:** **ირაკლი სვანიძე**

**გამოცემაზე პასუხისმგებელი:** **თამარ გვარამაძე**

---

აიწყო და დაკაბადონდა
საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციაში.
ჯ. კახიძის ქ.15 თბილისი 0102 საქართველო
(+995 32) 295 23 53, 293 61 01

აკრძალულია აქ მოყვანილი მასალების გადაბეჭდვა, გამრავლება ან გავრცელება
კომერციული მიზნით, ასოციაციის წერილობითი ნებართვის გარეშე

---

*© 2014, საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია*

# შ ი ნ ა ა რ ს ი


შესავალი ..... 5

**I. სასამართლო სხდომის ფოტო-ვიდეო-აუდიო ჩაწერის და ტრანსლაციის საკანონმდებლო რეგულაციები ..... 6**

1.1. სასამართლო სხდომის ფოტო-ვიდეო-აუდიო ჩაწერისა და ტრანსლაციის წესი და პირობები 2013 წლის საკანონმდებლო ცვლილებებამდე ..... 6

1.2. 2013 წელს განხორციელებული საკანონმდებლო ცვლილებების არსი და მნიშვნელობა ..... 9

1.3. 2013 წელს განხორციელებული საკანონმდებლო ცვლილების და ახალი რეგულაციების დეტალური მიმოხილვა ..... 12

1.4. სასამართლოს თავმჯდომარეების მიერ მე-13 პრიმა მუხლის აღსრულების მიზნით გამოცემული ბრძანებების ანალიზი ..... 14

1.5. სანქციები ფოტო-ვიდეო-აუდიო-ჩანაწერების პროცედურების დარღვევისათვის ..... 17

1.6. პროცესის პირდაპირ ეთერში გადაცემა ..... 19

**II. სასამართლო სხდომის ფოტო-ვიდეო-აუდიო ჩაწერის და ტრანსლაციის საკანონმდებლო რეგულაციების პრაქტიკაში რეალიზაცია ..... 20**

2.1. საერთო სასამართლოები მიერ ნორმათა პრაქტიკაში გამოყენება ..... 20

2.2. მედია საშუალებების მიერ ნორმათა პრაქტიკაში გამოყენება ..... 24

2.2.1. საზოგადოებრივი მაუწყებლის პრაქტიკის ანალიზი ..... 24

2.2.2. სხვა მედია საშუალებების პრაქტიკა და მოსაზრებები .... 25

**III. საკანონმდებლო რეგულაციებისა და პრაქტიკის ანალიზის შედეგად გამოვლენილი ხარვეზები ..... 36**

3.1. სასამართლოს საქმიანობის მარეგულირებელ ნორმებთან დაკავშირებული ხარვეზები ..... 36

3.2. მედიის საქმიანობის მარეგულირებელ ნორმებთან დაკავშირებული ხარვეზები ..... 36

**IV. რეკომენდაციები ..... 39**

**V. დასკვნა ..... 41**

## შესავალი

სასამართლო სისტემის გამართული ფუნქციონირება ადამიანის უფლებებისა და ფუნდამენტური თავისუფლებების დაცვისა და რეალიზაციის ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს გარანტიას წარმოადგენს. სწორედ ამიტომ, ამ პროცესის ხელშეწყობა საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციის (*შემდეგში* საია) 20 წლიანი მოღვაწეობის მანძილზე მუდმივად წარმოადგენდა ორგანიზაციის საქმიანობის ერთ-ერთ უმთავრეს პრიორიტეტს. აღნიშნული მიზნის მისაღწევად, საია რეგულარულად ახორციელებს სასამართლო სისტემის საქმიანობის მონიტორინგს, სისტემაში არსებული ხარვეზებისა თუ პროგრესის დოკუმენტირების და შემდგომი რეფორმების ადვოკატირების მიზნით, როგორც ეროვნულ, ასევე საერთაშორისო დონეზე.

საიას გამოქვეყნებული აქვს არაერთი კვლევა და ანგარიში უშუალოდ სასამართლო პროცესების მონიტორინგის, ასევე, იმ ორგანოთა საქმიანობის გამჭვირვალობისა და ანგარიშვალდებულების თემებზე, რომლებსაც სასამართლო სისტემის ადმინისტრირების ფუნქცია აქვთ დაკისრებული.

წინამდებარე კვლევის მიზანია, შეაფასოს „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანულ კანონში 2013 წელს განხორციელებული ცვლილება, რომლის საფუძველზეც, საერთო მაუწყებლობის ლიცენზიის მფლობელ მედია საშუალებებს სასამართლო პროცესების ფოტო, ვიდეო, აუდიო ჩაწერის უფლება მიენიჭათ. კვლევა მიზნად ისახავს, გააანალიზოს, რა ხარვეზები და გამოწვევები ახლავს თან აღნიშნული ცვლილების პრაქტიკაში რეალიზაციას და როგორ აისახა ეს საკანონმდებლო ცვლილება მედიის და, შესაბამისად, საზოგადოებისთვის მართლმსაჯულების განხორციელების შესახებ ინფორმაციის მისაწვდომობაზე.

უნდა აღინიშნოს, რომ მედიის მიერ სასამართლო პროცესების გადაღება და გაშუქება რეგულირდება არა მხოლოდ სამართლით, არამედ ასევე მედია ეთიკით, თუმცა, ეს უკანასკნელი მოცემული კვლევის ფარგლებს მიღმაა და ამ ანგარიშში განხილული არ იქნება.

კვლევა ეფუძნება როგორც მოქმედი საკანონმდებლო რეგულაციებისა და საერთაშორისო სტანდარტების ანალიზს, ასევე საჯარო ინფორმაციის გამოთხოვნის გზით მოპოვებული ინფორმაციის და ჟურნალისტებთან გასაუბრებების დროს იდენტიფიცირებული

კარგი პრაქტიკის მაგალითებისა და პრობლემების განხილვას.

კვლევის ბოლოს მოცემულია რეკომენდაციები.

## I. სასამართლო სხდომის ფოტო-ვიდეო-აუდიო ჩაწერის და ტრანსლაციის საკანონმდებლო რეგულაცია

### *1.1. სასამართლო სხდომის ფოტო-ვიდეო-აუდიო ჩაწერისა და ტრანსლაციის წესი და პირობები 2013 წლის საკანონმდებლო ცვლილებებამდე*

სასამართლო სხდომის ფოტო-ვიდეო-აუდიო გადაღების საკითხი "საერთო სასამართლოების შესახებ" კანონში მისი მიღებიდან დღემდე რამდენჯერმე შეიცვალა. კანონის თავდაპირველი რედაქციით, სასამართლო სხდომის კინო და ფოტო გადაღების, აუდიო და ვიდეო გადაღების აკრძალვა დაიშვებოდა მხოლოდ სასამართლოს მოტივირებული გადაწყვეტილებით.[1] 2005 წლის ნოემბერში განხორციელებული ცვლილების საფუძველზე, სასამართლოს (მოსამართლეს) მიენიჭა უფლებამოსილება, მოტივირებული გადაწყვეტილებით განესაზღვრა სასამართლო სხდომაზე სტენოგრაფირების, ფოტო, კინო, ვიდეო გადაღებისა და აუდიო ჩაწერის, აგრეთვე, რადიოთი და ტელევიზიით ტრანსლაციის წესი და დაედგინა ამ უფლების შეზღუდვის მიზანშეწონილობა.[2]

ზემოაღნიშნული ნორმა ძირეულად შეიცვალა 2007 წელს, როდესაც სასამართლო დარბაზი მედია გადაღებისათვის ფაქტობრივად დაიხურა და საქმის განხილვის ფოტო, კინო, ვიდეო გადაღება და ტრანსლაცია დაუშვებლად გამოცხადდა არა მხოლოდ სასამართლო სხდომის დარბაზში, არამედ, ასევე, სასამართლოს შენობაში.[3]

აღსანიშნავია, რომ კამერებისათვის სასამართლო მას შემდეგ დაიხურა, რაც ბანკის თანამშრომლის სანდრო გირგვლიანის გახმაურებულ მკვლელობაში ეჭვმიტანილთა სასამართლო პროცესზე, რომელიც

---

[1] საქართველოს ორგანული კანონი "საერთო სასამართლოების შესახებ" (13.06.1997, N767) (ძალადაკარგულია საქართველოს 12/04/2009 N 2257 ორგანული კანონით)

[2] საქართველოს ორგანული კანონი "საერთო სასამართლოების შესახებ" კანონში ცვლილებების შეტანის თაობაზე, (25.11.2005, N 2125)

[3] საქართველოს ორგანული კანონი „საერთო სასამართლოების შესახებ" საქართველოს ორგანულ კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე (11.07.2007, N 5288)

პირდაპირ ეთერში გადიოდა, ოპოზიციამ პროტესტი გამოთქვა, განაცხადა რა, რომ სასამართლო არაობიექტურად მიმდინარეობდა. პროტესტის გამო ოპოზიციასა და სასამართლოს მანდატურებს შორის ინციდენტი მოხდა, რაც ასევე ტელევიზიით გაშუქდა. განსასჯელები შსს-ს მაღალჩინოსნები იყვნენ, ხოლო დასაკითხთა შორის საჯარო მოხელეები, მათ შორის, მაღალი პოლიტიკური თანამდებობის პირები.[4]

ხელისუფლების განცხადებით, კამერების გამოყენება ხდებოდა მოსამართლეებზე ფსიქოლოგიური ზეწოლის განსახორციელებლად და, შესაბამისად, პროცესების დახურვა მედიისთვის გამართლებული იყო.[5] თუმცა, ამ ცვლილებას საზოგადოების ფართო წრეების კრიტიკა მოჰყვა. რიგი საერთაშორისო ორგანიზაციების მიერ იგი შეფასდა, როგორც ინფორმაციის თავისუფლების პრინციპის დარღვევა;[6] ჟურნალისტებმა პრეზიდენტსაც კი მიმართეს, რათა მას ვეტოს უფლება გამოეყენებინა ზემოაღნიშნულ საკანონმდებლო ცვლილებასთან დაკავშირებით, თუმცა - უშედეგოდ.[7]

ამასთან, ზემოაღნიშნული საკანონმდებლო ცვლილება განხორციელდა ხელისუფლების მხრიდან ჟურნალისტებსა და მედია საშუალებებზე სხვადასხვა ფორმით განხორციელებული ზეწოლების და, ზოგადად, მედიის თავისუფლების შეზღუდვის პოლიტიკის ფონზე, რამაც კიდევ უფრო გააძლიერა კრიტიკა ხელისუფლების მედია პოლიტიკის მიმართ.

განხორციელებული ცვლილების საფუძველზე, გადაღების და ტრანსლაციის უფლება მიენიჭა მხოლოდ სასამართლოს და სასამართლოს უფლებამოსილ პირს. მართალია, ტერმინი „სასამართლოს მიერ უფლებამოსილი პირი“ იძლეოდა კანონში არსებული ჩანაწერის ფართო ინტერპრეტაციის შესაძლებლობას, თუმცა, პრაქტიკაში აღნიშნული ჩანაწერის ქვეშ მხოლოდ სასამართლო ხელისუფლება მოიაზრებოდა და არა ნებისმიერი დაინტერესებული პირი, რომელსაც სასამართლო მსგავს უფლებამოსილებას მიანიჭებდა. აღსანიშნავია ისიც, რომ იმ შემთხვევაშიც კი, თუ კანონის ამ ნორმის

[4] http://www.media.ge/ge/portal/news/52682/

[5] Freedom House, Nations in Transit, Georgia (2008) http://www.freedomhouse.org/report/nations-transit/2008/georgia#.VBFowvmSz84

[6] იგივე

[7] იგივე, იხ. ასევე Media Sustainability Index (2008) http://www.irex.org/system/files/MSIEE08-Georgia.pdf

ფართო და სწორი ინტერპრეტაცია მოხდებოდა, შესაბამისი უფლების რეალიზაციისთვის საჭირო დეტალური რეგულაციები (მაგ. კონკრეტული უფლებამოსილების მინიჭების წესი და პროცედურა) არც კანონით და არც რაიმე სხვა კანონქვემდებარე ნორმატიული აქტით არ იყო გაწერილი. პრაქტიკამ კი ასეთის დამკვიდრება ვერ უზრუნველყო.[8]

ზემოაღნიშნული ცვლილების საფუძველზე, სასამართლოს ასევე მიეცა სასამართლო პროცესის ფოტო, კინო და ვიდეო გადაღების მის ხელთ არსებული მასალების გავრცელების უფლება, თუ ეს არ ეწინააღმდეგებოდა კანონს. იმ შემთხვევაში, თუ სასამართლო სხდომის სტენოგრაფირება და აუდიო ჩაწერა არ იყო აკრძალული სასამართლოს (მოსამართლის) მოტივირებული გადაწყვეტილებით, ეს მოქმედებები უნდა განხორციელებულიყო სასამართლოს (მოსამართლის) მიერ დადგენილი წესით.[9] თუმცა, კანონით არ იყო განსაზღვრული აღნიშნული მასალების ღიაობის პრეზუმფცია. შესაბამისად, სასამართლოს არ ეკისრებოდა მისი გაცემის ვალდებულება საჯარო ინფორმაციაზე ხელმისაწვდომობის ზოგადი სტანდარტის თანახმად.[10]

ამ ცვლილებას დაემატა ისიც, რომ სასამართლოში შესულ ნებისმიერ პირს, მათ შორის ჟურნალისტებს, უხდებოდათ პირადი ნივთების, მათ შორის მობილურისა და კომპიუტერის, დაცვასთან დატოვება,[11] რამაც კიდევ უფრო გაართულა მათი სამუშაო პირობები სასამართლოში და იქ მიმდინარე მოვლენების შესახებ საზოგადოების დროული და ეფექტური ინფორმირება.

კოალიციამ დამოუკიდებელი და გამჭვირვალე მართლმსაჯულებისათვის არაერთხელ მიუთითა ხელისუფლებას „საერთო სასამართლოების შესახებ“ კანონში განხორციელებულ ზემოაღნიშნულ ცვლილებებსა და პრაქტიკაში მის გამოყენებასთან დაკავშირებით არსებულ პრობლემებზე. კოალიციის რეკომენდაციით, კანონს, აკრძალვის ნაცვლად, უნდა დაედგინა სხდომის ფოტო, აუდიო, ვიდეო ჩაწერისათვის ღიაობის სტანდარტი,

---

[8] *მართლმსაჯულების სისტემა საქართველოში,* კოალიცია დამოუკიდებელი და გამჭვირვალე მართლმსაჯულებისათვის, 2012.

[9] ცვლილებები საქართველოს ორგანულ კანონში საერთო სასამართლოების შესახებ (11.07.2007 N5288)

[10] იგივე.

[11] http://www.media.ge/ge/portal/news/52682/

ხოლო სასამართლოს მიერ განხორციელებული ჩანაწერი უნდა ყოფილიყო საჯარო. ასევე, შესაბამისი კანონქვემდებარე აქტით უნდა დარეგულირებულიყო პროცედურა, რომელიც ნებისმიერ დაინტერესებულ პირს მიანიჭებდა სასამართლო სხდომის სასურველი ფორმით ჩაწერის უფლებამოსილებას შესაბამისი განცხადების საფუძველზე, სათანადო ფორმით და სათანადო დროში და სხვა.[12] თუმცა, 2013 წლამდე აღნიშნული რეკომენდაციები გათვალისწინებული არ ყოფილა.

### *1.2. 2013 წელს განხორციელებული საკანონმდებლო ცვლილებების არსი და მნიშვნელობა*

2013 წელს განხორციელებული საკანონმდებლო ცვლილებების შედეგად, ძალადაკარგულად გამოცხადდა „საერთო სასამართლოების შესახებ" საქართველოს ორგანული კანონის მე-13 მუხლის მე-4 ნაწილი; სანაცვლოდ, კანონს დაემატა მე-13 პრიმა მუხლი, რომლის საფუძველზეც, 2013 წლის პირველი მაისიდან ნებადართული გახდა სასამართლო სხდომის ფოტო, ვიდეო, აუდიო ჩაწერა და მასობრივი ინფორმაციის საშუალებებით გადაცემა.[13]

ცვლილებების განხორციელების მიზანს წარმოადგენდა „სასამართლო ხელისუფლების მეტი დემოკრატიულობისა და საქვეყნოობის პრინციპის ჯეროვანი უზრუნველყოფა, რისთვისაც კანონპროექტი ითვალისწინებდა საზოგადოებრივი მაუწყებლის, მასობრივი ინფორმაციის სხვა საშუალებებისა და კერძო პირთათვის სასამართლო პროცესის აუდიო და ვიდეო გადაღების უფლებამოსილების გაზრდას."[14]

ზემოაღნიშნული საკანონმდებლო ცვლილებებით დიდწილად გათვალისწინებულ იქნა კოალიციის - დამოუკიდებელი და გამჭვირვალე მართლმსაჯულებისათვის - რეკომენდაციები გამჭვირვალობის ხარისხის ზრდასთან დაკავშირებით, რაც უდავოდ დადებით მოვლენად უნდა შეფასდეს.

---

[12] იგივე

[13] საქართველოს ორგანული კანონი „საერთო სასამართლოების შესახებ" საქართველოს ორგანულ კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე (01.05.2013, N 580)

[14] განმარტებითი ბარათი „საერთო სასამართლოების შესახებ" საქართველოს ორგანულ კანონში ცვლილებების შეტანის თაობაზე კანონის პროექტზე, იხილეთ ბმულზე: https://matsne.gov.ge/index.php?option=com_ldmssearch&view=docView&id=1785041&lang=ge

სასამართლო პროცესების გახსნა მედიისათვის მნიშვნელოვანი ნაბიჯია სასამართლო სისტემის გამჭვირვალობისა და ანგარიშვალდებულების თვალსაზრისით. მიჩნეულია, რომ პროცესის საჯარო ხასიათი იცავს მხარეებს მართლმსაჯულების ფარულად, საზოგადოების კონტროლის გარეშე, განხორციელებისაგან, რაც, ამავე დროს, სასამართლოებისადმი საზოგადოების ნდობის შენარჩუნების ერთ-ერთი საშუალებაა.[15] მართლმსაჯულების ღიად და გამჭვირვალედ განხორციელება მნიშვნელოვანია არა მხოლოდ კონკრეტული ინდივიდისათვის, არამედ ასევე ფართო საზოგადოების ინტერესების დასაცავად.[16]

აღიარებულია, რომ დემოკრატიულ სახელმწიფოში საზოგადოებას აქვს უფლება, ინფორმირებული იყოს მართლმსაჯულებისა და სამართალდამცავი ორგანოების საქმიანობის თაობაზე, შესაბამისად, მედიას აქვს უფლება და, უფრო მეტიც, ვალდებულება, დააკმაყოფილოს საზოგადოების ლეგიტიმური ინტერესი და მიაწოდოს მას ინფორმაცია სასამართლო პროცესებისა და, ზოგადად, მართლმსაჯულების განხორციელების პროცესის შესახებ.[17] თუმცა, მედიის ეს უფლება არ არის აბსოლუტური და, შესაძლოა, გარკვეულ შეზღუდვებს დაექვემდებაროს. საერთაშორისო სამართალი დასაშვებად მიიჩნევს პრესისა და საზოგადოებისათვის პროცესის მთლიანად და ნაწილობრივ დახურვას მორალის, საზოგადოებრივი წესრიგის პრინციპებიდან გამომდინარე ან ნაციონალური უსაფრთხოებისათვის დემოკრატიულ საზოგადოებაში, ან როცა ამას მოითხოვს მხარეთა პირადი ცხოვრების დაცვის ინტერესი, ან მაშინ, როცა, სასამართლოს აზრით, ასეთი ზომის მიღება აუცილებელია განსაკუთრებულ სიტუაციებში, როცა საჯაროობა დაარღვევს მართლმსაჯულების ინტერესებს. განაჩენი, ნებისმიერ შემთხვევაში, საჯარო უნდა გახდეს, გარდა იმ შემთხვევისა, როცა ეს ეხება

[15] *Werner v Austria* [1997] ECHR 92, para 45. See also: *Lawlesss v Ireland (No 1)* [1960] ECHR 1, p. 13; *Golder v the United Kingdom* [1975] ECHR 1, para 36; *Axen v Germany* [1983] ECHR 14, para 25; *Diennet v France* [1995] ECHR 28, para 33; *Hummatov v Azerbaijan* [2007] ECHR 1026, para 140; and *Schlumpf v Switzerland* [2009] ECHR 36; *Riepan v Austria* [2000] ECHR 575, para 27.

[16] UN Human Rights Committee, CCPR General Comment 32 (2007), para 28.

[17] იხ. მაგალითად Recommendation Rec(2003)13 of the Committee of Ministers to member states on the provision of information through the media in relation to criminal proceedings *(Adopted by the Committee of Ministers on 10 July 2003 at the 848th meeting of the Ministers' Deputies)*

არასრულწლოვნის ინტერესებს, ან როცა ეს ეხება საქორწინო დავას ან ბავშვებზე მეურვეობის საკითხებს.[18]

იმ შემთხვევაში, თუ პროცესის ნაწილობრივ ან სრულად დახურვის ზემოაღნიშნული საფუძვლები არ არსებობს, მედიას უნდა მიეცეს შესაძლებლობა, გააშუქოს პროცესი. ამასთან, დასაშვებია, რომ სასამართლო ხელისუფლებამ დააწესოს გარკვეული შეზღუდვები დარბაზში კამერების ყოფნასა და აუდიო-ვიზუალურ ჩაწერასთან დაკავშირებით.[19] თუმცა, იმის თაობაზე, თუ რა დოზით უნდა (შეიძლება) დაწესდეს ამგვარი შეზღუდვები, რაიმე ერთგვაროვანი ან უნივერსალური მიდგომა, არ არსებობს.

ერთნი მიიჩნევენ, რომ სასამართლო დარბაზში კამერების არსებობამ შესაძლოა ნეგატიური ზეგავლენა მოახდინოს როგორც პროცესის მონაწილეებზე, ასევე დამსწრეებზე (მოწმეებზე, ნაფიც მსაჯულებზე, არასრულწლოვნებზე და სხვ.) უფრო მეტიც, რიგ შემთხვევებში, შეიძლება პროცესი ისე იყოს გადაღებული და გაშუქებული, რომ ბრალდებულს წაერთვას სამართლიანი სასამართლოს უფლება,[20] ვინაიდან არსებობს მოსაზრება, რომ სისხლის სამართლის საქმეების ტელევიზიით გადაცემა იმთავითვე არახელსაყრელ მდგომარეობაში აყენებს ბრალდებულს.[21] მეორენი მიიჩნევენ, რომ იმ პირობებში, როდესაც არ არსებობს გაუბათილებელი ემპირიული დადასტურება იმისა, რომ ელექტრონული მედიის არსებობა დარბაზში, *ipso facto,* ხელს უშლის პროცესის განხორციელებას, ზემოაღნიშნული არგუმენტები დამაჯერებლობას მოკლებულია. [22] მოქალაქეებს უნდა ჰქონდეთ შესაძლებლობა, ნახონ, რა ხდება სასამართლო დარბაზში. თუ პროცესზე კამერებს არ დაუშვებენ, ამან შესაძლოა, გაზარდოს საზოგადოების უნდობლობა და უარყოფითი განწყობა სასამართლო სისტემის მიმართ.[23]

---

[18] სამოქალაქო და პოლიტიკურ უფლებათა საერთაშორისო პაქტი (1966), მუხლი 14(1) და ადამიანის უფლებათა და ფუნდამენტურ თავისუფლებათა ევროპული კონვენცია (1950), მუხლი 6(1).

[19] *Legal Digest on International Fair Trial Rights*, OSCE/ODIHR (2012)

[20] *Estes*, 381 U.S. at 534.

[21] იგივე

[22] *Chandler*, 449 U.S. at 576,

[23] *Position Paper of the Media Regarding Cameras in Maryland's Criminal Courtrooms (*11/12/07)

პრაქტიკოსთა შორის და აკადემიურ წრეებში ამ საკითხზე დისკუსია კვლავაც მიმდინარეობს და ერთიანი, ყველასათვის მისაღები პასუხი ან უნივერსალური მოდელი ჯერჯერობით არ არსებობს.

საქართველოში არსებული კონტექსტისა და პრეისტორიის გათვალისწინებით, რაზეც ზემოთ მოკლედ უკვე იყო საუბარი, სასამართლო პროცესის გახსნა მედიისათვის, მათ შორის ვიდეო გადაღებისათვის, დადებითად შეაფასა ვენეციის კომისიამ,[24] ასევე ადგილობრივმა მედია და არასამთავრობო ორგანიზაციებმა[25] და სახალხო დამცველმა. ამ უკანასკნელის აზრით, აღნიშნულ ცვლილებას გრძელვადიან პერსპექტივაში მნიშვნელოვანი შესაძლებლობა გააჩნია სასამართლო სისტემისადმი საზოგადოების ნდობის ამაღლების თვალსაზრისით.[26]

თუმცა, უნდა აღინიშნოს ისიც, რომ კანონპროექტის შემუშავების ეტაპზევე სხვადასხვა პირისა თუ ორგანიზაციის მხრიდან გამოითქვა მოსაზრებები კანონპროექტში არსებულ რიგ ხარვეზებზე,[27] რომელთა ნაწილიც გათვალისწინებულ იქნა საქართველოს პარლამენტის მიერ კანონის საბოლოო ვერსიის მიღების დროს.

ანგარიშის შემდგომ თავებში მოცემულია სასამართლოში ფოტო, ვიდეო, აუდიო გადაღების შესახებ დღეს მოქმედი რეგულაციების დეტალური ანალიზი და პრაქტიკაში მათი გამოყენების დროს გამოვლენილი პრობლემები, ასევე, დაინტერესებულ პირთა მოსაზრებები ამ რეგულაციებისა და მათ გამოყენებასთან დაკავშირებული პრაქტიკის შესახებ.

### *1.3. 2013 წელს განხორციელებული საკანონმდებლო ცვლილების და ახალი რეგულაციების დეტალური მიმოხილვა*

„საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანულ კანონში განხორციელებული ცვლილებების შედეგად, რომლის საფუძველზეც

[24] EUROPEAN COMMISSION FOR DEMOCRACY THROUGH LAW (VENICE COMMISSION) OPINION ON THE DRAFT AMENDMENTS TO THE ORGANIC LAW ON COURTS OF GENERAL JURISDICTION OF GEORGIA, Opinion No. 701/2012, par.22

[25] იხ. მაგალითად საერთაშორისო გამჭვირვალობა - საქართველოს მიერ მომზადებული ბლოგი ამ თემაზე http://transparency.ge/blog/akhali-sasamartlo-repormebis-shedarebiti-analizi#d6

[26] სახალხო დამცველის 2013 წლის ანგარიში, გვერდი 5.

[27] იხ. მაგალითად VENICE COMMISSION, Opinion No. 701 / 2012

კანონს დაემატა მე-13 პრიმა მუხლი, 2013 წლის პირველი მაისიდან ნებადართული გახდა სასამართლო სხდომის ფოტო, ვიდეო-აუდიო ჩაწერა და მასობრივი ინფორმაციის საშუალებებით გადაცემა.

მე-13 პრიმა მუხლით ასევე განისაზღვრა ის წესები და პირობები, რომელთა დაცვითაც უნდა განხორციელდეს ზემოაღნიშნული მოქმედებები. ამასთან, კანონმა მედიისათვის სასამართლოს ღიაობის ერთგვაროვანი სტანდარტი დააწესა როგორც სისხლის, ასევე სამოქალაქო და ადმინისტრაციულ სასამართლო პროცესებთან დაკავშირებით.

განხორციელებული საკანონმდებლო ცვლილების საფუძველზე, სასამართლოს დაევალა ყველა სასამართლო სხდომის აუდიო-ვიდეო ჩაწერა და მხარეებისათვის ჩანაწერის ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფა.[28] თუმცა, კანონით (ან სასამართლოს თავმჯდომარეთა ბრძანებებით) დადგენილი არ არის სასამართლოს მიერ განხორციელებული ჩანაწერის შენახვის ვადა და წესი.

ასევე, განხორციელებული საკანონმდებლო ცვლილების საფუძველზე, საზოგადოებრივ მაუწყებელს მიენიჭა ყველა სხდომის ფოტო, კინო, ვიდეო და აუდიო ჩაწერის შეუზღუდავი უფლებამოსილება.[29] ამავე დროს, საზოგადოებრივ მაუწყებელს დაეკისრა ვალდებულება, სასამართლო სხდომის ჩანაწერი მიაწოდოს ყველა დაინტერესებულ მასობრივი ინფორმაციის საშუალებას. თუმცა, ჩვენ მიერ მოპოვებული ინფორმაციის თანახმად, საზოგადოებრივი მაუწყებლის მიერ ამ ჩანაწერების შენახვის ვადა და წესი კანონით განსაზღვრული არ არის. ეს საკითხი არც საზოგადოებრივი მაუწყებლის მიერ მიღებული შიდა რეგულაციით განისაზღვრება.

იმ შემთხვევაში, თუ საზოგადოებრივი მაუწყებელი არ ისარგებლებს მე-13 პრიმა მუხლით მისთვის მინიჭებული უფლებამოსილებით, საერთო მაუწყებლობის ლიცენზიის მფლობელ სხვა პირს შეუძლია, წერილობითი განცხადების საფუძველზე, ისარგებლოს აღნიშნული უფლებით. თუ შესაბამის სურვილს რამოდენიმე ასეთი პირი გამოთქვამს, მაშინ მოსამართლე უფლებამოსილ პირს შეარჩევს

[28] აღსანიშნავია, რომ ზემოაღნიშნული მოქმედებების განხორციელებისას, სასამართლო არ არის შეზღუდული პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ კანონით დადგენილი მოთხოვნებით. იხ. საქართველოს კანონი პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ, მუხლი 3 (3) (ბ).

[29] საზოგადოებრივი მაუწყებლის ეს უფლება არ ვრცელდება მხოლოდ სრულად ან ნაწილობრივ დახურულ სხდომებთან მიმართებით.

წილისყრის საფუძველზე. თუმცა, წილისყრის წესი კანონით დადგენილი არ არის.

განხორციელებული საკანონმდებლო ცვლილების საფუძველზე, სასამართლო სხდომის აუდიო-ჩაწერის უფლება ასევე მიენიჭა სასამართლო სხდომის დარბაზში მყოფ ნებისმიერ პირს, სასამართლოს მიერ წინასწარ გამოყოფილი ადგილიდან და იმ პირობით, რომ თავისი მოქმედებით (მაგ. ხმაურით) ხელს არ შეუშლის მართლმსაჯულების განხორციელების ნორმალურ პროცესს. ამ პირობის დარღვევისათვის მოსამართლე უფლებამოსილია, მიიღოს საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო და სამოქალაქო საპროცესო კანონმდებლობით დადგენილი ზომები.

განხორციელებულმა საკანონმდებლო ცვლილებამ ასევე განსაზღვრა, რომ სხდომაში ნაფიცი მსაჯულების მონაწილეობის შემთხვევაში, აკრძალულია მსაჯულების გადაღება ან გადაღებისას სხვა პერსონალური მონაცემების გამხელა. ანალოგიური წესები მოქმედებს დაზარალებულის ან/და მოწმის გადაღებასთან დაკავშირებით იმ შემთხვევაში, თუ მხარის მოტივირებული შუამდგომლობის საფუძველზე, სასამართლო გადაწყვეტს, რომ ამას მოითხოვს მოწმის და/ან დაზარალებულის უსაფრთხოების ინტერესები. სხვა საფუძველი, მაგალითად, პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობის უფლება, არ აძლევს დაზარალებულს/მოწმეს უფლებას, მოითხოვოს მოსამართლისაგან იმის უზრუნველყოფა, რომ არ მოხდეს მისი გადაღება და/ან გადაღებისას პერსონალური მონაცემების გამხელა.

2013 წელს განხორციელებული ცვლილების საფუძველზე, ასევე, ნებადართულია სასამართლოს ეზოსა და შენობის დერეფანში ფოტოგადაღება, კინო, ვიდეო, აუდიო ჩაწერა და ეთერში გადაცემა ყოველგვარი შეზღუდვის გარეშე. ხოლო სასამართლოს მიერ დადგენილი წესით სასამართლოს შენობაში შესული პირისათვის პირადი ნივთების, მათ შორის, მობილური ტელეფონის, კომპიუტერის, ფოტო, კინო, ვიდეო ან/და აუდიო საშუალებების ჩამორთმევა დაუშვებელია.

### *1.4. სასამართლოს თავმჯდომარეების მიერ მე-13 პრიმა მუხლის აღსრულების მიზნით გამოცემული ბრძანებების ანალიზი*

კანონი პირდაპირ არ აკისრებს სასამართლოების თავმჯდომარეებს ვალდებულებას, მიიღონ რაიმე სახის აქტი საერთო სასამართლოების

შესახებ საქართველოს კანონის მე-13 პრიმა მუხლის აღსრულების მიზნით, თუმცა, საქართველოს საერთო სასამართლოებიდან[30] გამოთხოვნილი საჯარო ინფორმაციის საფუძველზე დადგინდა, რომ კანონის ზემოაღნიშნული მუხლის აღსრულების უზრუნველსაყოფად, სასამართლოების თავმჯდომარეთა მიერ გამოიცა შესაბამისი ბრძანებები.

თორმეტივე სასამართლომ, საიდანაც ინფორმაცია გამოთხოვნილი იყო კანონით დადგენილ ვადაში და მეტ-ნაკლებად სრულყოფილი ფორმით, მოგვაწოდა გამოთხოვნილი საჯარო ინფორმაცია, რომლის ანალიზის საფუძველზე გამოიკვეთა რამდენიმე მნიშვნელოვანი ფაქტი თუ გარემოება:

- ყველა ბრძანება შინაარსობრივად აბსოლუტურად იდენტურია;
- ამავე დროს, თორმეტიდან ათ სასამართლოში შესაბამისი ბრძანება მიღებულია 2013 წლის 22 მაისს, გამონაკლისს წარმოადგენს ზუგდიდის რაიონული სასამართლო, სადაც ბრძანება მიღებულია 2013 წლის 21 მარტს; ასევე, უზენაესი სასამართლო, სადაც ბრძანება მიღებულ იქნა 2013 წლის 24 მაისს;
- ბრძანება ემყარება საერთო სასამართლოების შესახებ კანონის მე-13 პრიმა მუხლით დადგენილ ნორმებს და კიდევ უფრო ავსებს და აზუსტებს მათ, ხოლო რიგ შემთხვევებში, ავიწროებს მედიისათვის კანონით მინიჭებული უფლებამოსილებით სარგებლობის პირობებს, კერძოდ:

  ა) ბრძანება განსაზღვრავს ვადას (ერთი საათით ადრე მაინც პროცესის დაწყებამდე), რა ვადაშიც საერთო მაუწყებლობის ლიცენზიის მქონე მედია საშუალებამ უნდა მიმართოს სასამართლოს პროცესის ფოტოგადაღების, ფოტო, ვიდეო და აუდიო ჩაწერაზე ნებართვის მოსაპოვებლად. ბრძანებებით ასევე დადგენილია სასამართლოში ფოტო, ვიდეო და აუდიო გადაღების პროცესის მარეგულირებელი რამდენიმე მნიშვნელოვანი დეტალი.

  ბ) იმ შემთხვევაში, თუ საზოგადოებრივი მაუწყებელი არ სარგებლობს მისთვის კანონით მინიჭებული უფლება-

[30] საჯარო ინფორმაცია გამოთხოვნილ იქნა შემდეგი სასამართლოებიდან: ქუთაისის, ბათუმისა და თბილისის საქალაქო სასამართლოები, ზესტაფონის, ზუგდიდის, თელავის, გორის, ბოლნისის, ახალქალაქის რაიონული სასამართლოები, თბილისისა და ქუთაისის სააპელაციო სასამართლოები, საქართველოს უზენაესი სასამართლო.

მოსილებით, ეს უფლება, წერილობითი მოთხოვნის საფუძველზე, შეიძლება მიენიჭოს სხვა საერთო მაუწყებლობის ლიცენზიის მქონე მედია საშუალებას. თუ ამგვარი მოთხოვნა ერთზე მეტმა მედია საშუალებამ დააყენა, მათ შორის გაიმართება წილისყრა, რომლის შედეგებიც შესაბამის პირებს ეცნობებათ სატელეფონო შეტყობინების სახით, გონივრულ ვადაში.

გ) სასამართლო დარბაზში ფოტო გადაღება, კინო და ვიდეო ჩაწერა ხორციელდება მხოლოდ სასამართლოს მიერ წინასწარ გამოყოფილი ადგილიდან. დაუშვებელია მიკროფონის ან სხვა აუდიოჩამწერი აპარატურის განთავსება სხდომის თავმჯდომარის (მოსამართლის) სამუშაო მაგიდაზე და რიგ სხვა ადგილებში (მაგ. მოწმის მიერ ჩვენების მიცემისათვის სპეციალურად გამოყოფილ ადგილზე).

დ) ბრძანებით გათვალისწინებული მოთხოვნების შესრულების უზრუნველყოფა ევალება მანდატურს, რისთვისაც მას მინიჭებული აქვს მთელი რიგი უფლება-მოვალეობები. მაგალითად, მას აქვს უფლებამოსილება, არ დაუშვას ფოტოგადაღების, კინო-ვიდეო-აუდიო ჩაწერისა და ეთერში გადაცემის წარმოება სასამართლოში იმ ადგილიდან, რომელიც არ არის დაშვებული კანონით და არ ემსახურება სასამართლო პროცესის საჯაროობის პრინციპს.

ე) სხდომის აუდიო-ვიდეო ჩანაწერის გამოთხოვნა დასაშვებია წერილობითი ფორმით, ხოლო ამ ჩანაწერის ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფა ევალება საჯარო ინფორმაციის გაცემაზე პასუხისმგებელ თანამდებობის პირს. იმ შემთხვევაში, თუ ჩანაწერი ეხება პროცესს, რომელიც ნაწილობრივ ან სრულად დახურული იყო, მხარეები ვალდებულნი არიან, ხელი მოაწერონ ხელწერილს აუდიო/ვიდეო ჩანაწერის გაუმჟღავნებლობაზე.

ვ) ფოტო-ვიდეო-აუდიო ჩანაწერების განხორციელებისას დაუშვებელია სასამართლო დარბაზში მოძრაობა, ხმაურის, შუქის ან სხვა ისეთი ემისიების გამოყოფა, რომლებიც ხელს უშლის მართლმსაჯულების განხორციელების ნორმალურ პროცესს. ამ ნორმების დარღვევისათვის მოსამართლეს შეუძლია მიიღოს სამოქალაქო და სისხლის საპროცესო კოდექსებით დადგენილი ზომები, რის შესახებაც მოსამართლე სხდომის გახსნისთანავე აფრთხილებს შესაბამის პირებს.

ზ) ბრძანების შესრულებაზე კონტროლი ევალება სასამართლოს მენეჯერს.

### *1.5. სანქციები ფოტო-ვიდეო-აუდიო ჩაწერის პროცედურების დარღვევისათვის*

როგორც ზემოთ უკვე აღინიშნა, ფოტო-ვიდეო-აუდიო გადაღების კანონით დადგენილი წესის დარღვევის შემთხვევაში, მოსამართლე უფლებამოსილია, დამრღვევის მიმართ გამოიყენოს სანქციები, რომლებიც გათვალისწინებულია სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 212-ე და სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 85-ე მუხლებით, კერძოდ: ჯარიმა, დარბაზიდან გაძევება ან დაპატიმრება.

სხდომის მონაწილის დაჯარიმების ან/და სხდომის დარბაზიდან გაძევების შესახებ მოსამართლეს ადგილზე თათბირით გამოაქვს განკარგულება სხდომაზე წესრიგის დარღვევის, სხდომის თავმჯდომარის (მოსამართლის) განკარგულებისადმი დაუმორჩილებლობის ან სასამართლოს მიმართ უპატივცემლობის შემთხვევაში. განსხვავებით სამოქალაქო საპროცესო კოდექსისაგან, სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 85-ე მუხლის თანახმად, ზემოაღნიშნული ზომის გამოყენებამდე მოსამართლე ზეპირ შენიშვნას აძლევს დამრღვევს და მოუწოდებს, შეწყვიტოს არასათანადო ქცევა. აღნიშნული ნორმის არსებობა პოზიტიურ შეფასებას იმსახურებს, ვინაიდან წარმოადგენს უცოდინრობით ან გაუფრთხილებლობით გამოწვეული ქმედების შედეგად პირის გაძევებისაგან დაცვის გარანტიას.

მოწოდებისადმი დაუმორჩილებლობის შემთხვევაში, სასამართლო სხდომის თავმჯდომარეს ადგილზე თათბირით გამოაქვს განკარგულება პირის დაჯარიმების ან/და სასამართლო სხდომის დარბაზიდან გაძევების შესახებ. თუ გაძევებული პირი კვლავ განაგრძობს წესრიგის დარღვევას, მოსამართლის მითითებით სასამართლოს მანდატური უზრუნველყოფს სასამართლოდან მის გაყვანას; ამასთანავე, აღნიშნული პირის მიმართ შეიძლება გამოყენებულ იქნას ჯარიმა ან პატიმრობა. (სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსისაგან განსხვავებით, პატიმრობის გამოყენებას ანალოგიურ შემთხვევებში არ ითვალისწინებს სამოქალაქო საპროცესო კოდექსი.)

როგორც სისხლის, ასევე სამოქალაქო საპროცესო კოდექსის თანახმად, პირი სასამართლო სხდომის დარბაზიდან გაძევებულად ითვლება იმავე ინსტანციის სასამართლოში ამ ბრალდების საქმის განხილვის დასრულებამდე, თუმცა, სხდომის თავმჯდომარემ გაძევებულ პირს, მხარის მოტივირებული შუამდგომლობის საფუძველზე, შესაძლოა მისცეს სხდომაზე დაბრუნების უფლება. 2013 წლის ოქტომბერში სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსში განხორციელდა ცვლილება, რომლის თანახმადაც, შესაბამის მუხლს დაემატა ნორმა, რომლის მიხედვითაც, გაძევებული პირი სხდომაზე დაბრუნდება იმ შემთხვევაშიც, თუ შესაბამისი სასამართლო დააკმაყოფილებს ამ პირის საჩივარს სასამართლო სხდომის დარბაზიდან მისი გაძევების უკანონოდ ცნობისა და სხდომაზე მისი დაბრუნების შესახებ. აღნიშნული ცვლილება დადებითად უნდა შეფასდეს, ვინაიდან იგი ქმნის მედიის წარმომადგენელთა კანონიერი ინტერესების დაცვისა და მათი თვითნებური შელახვის პრევენციის სამართლებრივ ბერკეტს.

დაჯარიმების ან/და სასამართლო სხდომის დარბაზიდან გაძევების შესახებ სასამართლო სხდომის თავმჯდომარის განკარგულება, პირს, რომლის მიმართაც გამოყენებული იყო აღნიშნული ღონისძიება, გადაეცემა განკარგულების გამოტანიდან არაუგვიანეს 24 საათისა. განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს ასლის ჩაბარებიდან 48 საათის ვადაში. ამგვარად, მართალია, კანონი ითვალისწინებს სანქციის გასაჩივრების შესაძლებლობას, თუმცა, ეს უფლება ისეა ფორმულირებული, რომ გაძევებული მედია საშუალების წარმომადგენელი ვერ დაბრუნდება იმავე სასამართლო სხდომაზე. ეს კი მნიშვნელოვნად ზღუდავს მისი ფუნქციისა და კანონიერი უფლების განხორციელებას და აზარალებს საჯარო ინტერესს. ასევე, პრაქტიკაში შეიძლება გარკვეული ბუნდოვანება გამოიწვიოს იმის დადგენამ, მედია საშუალების წარმომადგენლის გაძევების შემთხვევაში, ეს კონკრეტული პირი (ინდივიდი) ჩაითვლება გაძევებულად იმავე ინსტანციის სასამართლოში საქმის განხილვის დასრულებამდე, თუ მთლიანად მედია საშუალება. თუმცა, კვლევის ფარგლებში არ გამოვლენილა მედია საშუალების მიმართ სანქციის გამოყენების შემთხვევა და, შესაბამისად, მოცემულ ეტაპზე მოკლებული ვართ იმის შეფასების შესაძლებლობას, თუ როგორ განვითარდება პრაქტიკა აღნიშნული მიმართულებით.

უარყოფით შეფასებას იმსახურებს ის ნორმა, რომლის თანახმადაც, პირის დაჯარიმების ან/და სხდომის დარბაზიდან გაძევების შესახებ

განკარგულება მიიღება ზეპირი მოსმენის გარეშე. ამავე მუხლის დებულება, რომლის მიხედვით, აღნიშნული გადაწყვეტილება არ საჩივრდებოდა, საკონსტიტუციო სასამართლოს 2014 წლის 27 თებერვლის გადაწყვეტილებით (№2/2/558) არაკონსტიტუციურად იქნა ცნობილი. თუმცა, კანონში არ განხორციელებულა შესაბამისი დამატება, რომელიც დააკონკრეტებდა, თუ როგორია ამგვარი საჩივრის განხილვის მექანიზმი.

### *1.6. სასამართლო პროცესის პირდაპირ ეთერში გადაცემა*

პროცესის პირდაპირ ეთერში გადაცემა, მოქმედი კანონით, ნებადართული არ არის. ჩვენ მიერ ჩატარებულ ინტერვიუებში აღნიშნული საკითხი არ გამოკვეთილა, როგორც პრობლემური. თუმცა, ვფიქრობთ, რომ, ვინაიდან ყოფილი მაღალჩინოსნების პროცესებისადმი, მათ შორის ყოფილი პრეზიდენტის მოსალოდნელი სასამართლო პროცესისადმი, არსებობს მაღალი საზოგადოებრივი ინტერესი, შესაძლოა, პროცესის პირდაპირ ეთერში გადაცემაზე მაღალი საზოგადოებრივი მოთხოვნა უახლოეს მომავალში გაჩნდეს. მართალია, სასამართლო პროცესის პირდაპირ ეთერში გაშუქების უფლების დარეგულირებისას სახელმწიფო ფართო დისკრეციით სარგებლობს,[31] თუმცა, ვფიქრობთ, რომ ქვეყანაში არსებული ზემოაღნიშნული კონტექსტის გათვალისწინებით, შესაძლოა მიზანშეწონილი იყოს არა პირდაპირ ეთერში პროცესის გადაცემის ბლანკეტური აკრძალვა, როგორც ეს დღეს მოქმედ კანონშია, არამედ მისი რეგულირება გონივრულობისა და პროპორციულობის პრინციპების გათვალისწინებით. ამასთან, რიგ შემთხვევებში, პროცესის პირდაპირ ეთერში გადაცემაზე ბლანკეტური უარის სანაცვლოდ, შეიძლება მიზანშეწონილი იყოს სასამართლო დარბაზში მიმდინარე მოვლენების გარკვეული პერიოდის დაგვიანებით ტრანსლირების რეჟიმი.[32]

მეორე მხრივ, სასამართლო პროცესების პირდაპირ ეთერში გადაცემისას ყველაზე მეტი საფრთხე შეიძლება შეექმნას იმ ფუნდამენტურ ღირებულებებს, რომელთა იგნორირება, პროცესისადმი მაღალი საზოგადოებრივი ინტერესის პირობებშიც

[31] *The decision on admissibility of P4 Radio Hele Norge ASA* (Application no. 76682/01, Decision of 6 May 2003)

[32] VENICE COMMISSION, Opinion No. 701 / 2012

კი, დაუშვებელია; ესენია პირადი და ოჯახური ცხოვრების ხელშეუხებლობა და სამართლიანი სასამართლოს უფლება. ამიტომაც დადგენილია, რომ პირდაპირ ეთერში პროცესის გადაცემა დასაშვებია მხოლოდ მაშინ, როდესაც ეს პირდაპირ ნებადართულია კანონით ან სასამართლოს (მოსამართლის) მიერ. ამავე დროს, ეს უნდა მოხდეს მხოლოდ იმ შემთხვევაში, როცა პირდაპირ ეთერში გადაცემას თან არ ახლავს მსხვერპლებზე, მოწმეებზე, მხარეებზე, ნაფიც მსაჯულებსა და მოსამართლეებზე არასათანადო ზეგავლენის მოხდენის სერიოზული რისკი.[33]

## II. სასამართლო სხდომის ფოტო-ვიდეო-აუდიო ჩაწერის და ტრანსლაციის საკანონმდებლო რეგულაციების პრაქტიკაში რეალიზაცია

საჯარო ინფორმაციის გამოთხოვნის და ჟურნალისტებთან ჩატარებული ინტერვიუების გზით, საიამ ასევე შეისწავლა საერთო სასამართლოებში სხდომის ფოტო-ვიდეო-აუდიო ჩაწერის და ტრანსლაციის წესების პრაქტიკაში რეალიზაცია და ამ ნორმათა აღსრულების საკითხები.

### *2.1. საერთო სასამართლოების მიერ ნორმათა პრაქტიკაში გამოყენება*

იმის გასარკვევად, თუ რამდენად სრულდება კანონის ზემოაღნიშნული ნორმები პრაქტიკაში, საიამ ზემოთ უკვე აღნიშნული 12 სასამართლოდან 2013 წლის ნოემბერში გამოითხოვა შემდეგი შინაარსის საჯარო ინფორმაცია:

1. ჰქონდა თუ არა მოცემული სასამართლოს თავმჯდომარეს მიღებული ბრძანება/გადაწყვეტილება კანონის მუხლის აღსრულების უზრუნველსაყოფად (სასამართლოებს ასევე ეთხოვათ, არსებობის შემთხვევაში, მოეწოდებინათ შესაბამისი ბრძანების ასლი).
2. ხორციელდება თუ არა მოცემულ სასამართლოში

[33] Recommendation Rec(2003)13 of the Committee of Ministers to member states on the provision of information through the media in relation to criminal proceedings *(Adopted by the Committee of Ministers on 10 July 2003 at the 848th meeting of the Ministers' Deputies)*

სამოქალაქო, ადმინისტრაციული და სისხლის სამართლის საქმეთა ყველა სხდომის აუდიო-ვიდეო ჩაწერა.

3. 2013 წლის 1 ივლისიდან ინფორმაციის გამოთხოვნის თარიღისათვის, რამდენჯერ ისარგებლა საზოგადოებრივმა მაუწყებელმა მე-13[1] მუხლით გათვალისწინებული უფლებამოსილებით.
4. 2013 წლის 1 ივლისიდან ინფორმაციის გამოთხოვნის თარიღისათვის, რამდენჯერ ისარგებლა სხვა საერთო მაუწყებლის ლიცენზიის მფლობელმა პირმა მე-13[1] მუხლით გათვალისწინებული უფლებამოსილებით.
5. რამდენჯერ გამოუყენებია სასამართლოს სისხლის და სამოქალაქო საპროცესო კოდექსებით დადგენილი პასუხისმგებლობის ზომები მე-13[1] მუხლის მოთხოვნათა დარღვევის გამო.

გამოკითხული სასამართლოების უმრავლესობამ მოგვაწოდა დეტალური პასუხები დასმულ კითხვებზე; გამონაკლისს წარმოადგენს თბილისის საქალაქო და სააპელაციო სასამართლოები, რომლებმაც განმარტეს, რომ გამოთხოვნილი ინფორმაციის სტატისტიკურ აღრიცხვას არ აწარმოებენ.[34] აღნიშნული ცალსახად უარყოფით შეფასებას იმსახურებს, ვინაიდან საქმეთა დიდი და მნიშვნელოვანი ნაწილი სწორედ ამ სასამართლოებში განიხილება და მნიშვნელოვანია მათ მიერ ზუსტი სტატისტიკის წარმოება მედიის მიმართვიანობასთან დაკავშირებით. ამასთან, ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 49-ე მუხლის თანახმად, აღნიშნული არა მხოლოდ სასურველი, არამედ, სასამართლოებისათვის, როგორც საჯარო დაწესებულებებისათვის, სავალდებულოცაა.

[34] აღსანიშნავია, რომ მიმდინარე წლის სექტემბერში იმავე შინაარსის წერილით ჩვენ განმეორებით მივამართეთ თბილისის საქალაქო და სააპელაციო სასამართლოებს და ვთხოვეთ, მოეწოდებინა ინფორმაცია იმის შესახებ, განხორციელდა თუ არა შესაბამის სასამართლოებში, 2013 წლის დეკემბრიდან 2014 წლის 1 სექტემბრამდე, რაიმე ცვლილება ჩვენ მიერ გამოთხოვნილი საჯარო ინფორმაციის საკითხებთან დაკავშირებით და/ან მიღებულია თუ არა რაიმე ზომები აღნიშნული მიმართულებით (კერძოდ, დაწყებულია თუ არა ზემოაღნიშნული სტატისტიკური ინფორმაციის აღრიცხვა). თბილისის საქალაქო სასამართლოდან მიღებული პასუხის თანახმად, 2014 წლის სექტემბრის მდგომარეობით ვითარება უცვლელია და სასამართლო კვლავ არ ახორციელებს ზემოაღნიშნულ მონაცემთა აღრიცხვას (თბილისის საქალაქო სასამართლო, წერილი N 32061, 03.09.14). ანალოგიური პასუხი მივიღეთ თბილისის სააპელაციო სასამართლოდანაც. (თბილისის სააპელაციო სასამართლო, წერილი N 102, 05.09.14)

სასამართლოებისაგან გასული წლის ბოლოს მოწოდებული ინფორმაციის საფუძველზე ასევე გამოიკვეთა, რომ თბილისის საქალაქო სასამართლოში „არის გამონაკლისი შემთხვევები, როდესაც გაუთვალისწინებელი ტექნიკური პრობლემების გამო, სასამართლო სხდომების აუდიო-ვიდეო ჩაწერა ვერ ხორციელდება.“[35] ამასთან, წერილში არ იყო დაკონკრეტებული, თუ რამდენად ხშირია ამგვარი „გამონაკლისი შემთხვევები“, ან რა ზომებს მიმართა სასამართლოს თავმჯდომარემ აღნიშნული ტექნიკური პრობლემების აღმოსაფხვრელად. მოგვიანებით, ჩვენ კვლავ მივმართეთ თბილისის საქალაქო სასამართლოს იმავე შეკითხვით და ასევე ვთხოვეთ, მოეწონებინა ინფორმაცია იმის თაობაზე, აღმოფხვრილია თუ არა ზემოაღნიშნული ტექნიკური პრობლემა.[36] წერილზე პასუხად მივიღეთ, რომ „სასამართლო ახორციელებს სასამართლო პროცესების აუდიო და ვიდეო ჩაწერას.“[37]

ასევე, ჩვენი წერილის საპასუხოდ, თბილისის სააპელაციო სასამართლომ განმარტა, რომ „ყველა სასამართლო პროცესს აკვირდება სამეთვალყურეო კამერა, ხოლო იმ სასამართლო დარბაზებში, რომლებშიც ელექტრონული ჩაწერის შესაბამისი მოწყობილობაა დაინსტალირებული, სხდომის აუდიო ჩაწერა ხდება სასამართლო პროცესის ფიქსაციის ტექნიკური სისტემის მეშვეობით სპეციალურ ფორმატში.“[38] წერილში არ არის დაკონკრეტებული, რამდენ დარბაზში არ არის დაინსტალირებული შესაბამისი მოწყობილობა და იგეგმება თუ არა შესაბამისი ღონისძიებების გატარება აღნიშნული ტექნიკური პრობლემის აღმოსაფხვრელად, რათა სააპელაციო სასამართლოს მიერ სრულად იყოს შესაძლებელი კანონის მე-13 პრიმა მუხლით დადგენილი მოთხოვნების შესრულება. მოგვიანებით, განმეორებით მივმართეთ თბილისის სააპელაციო სასამართლოს კითხვით, განხორციელდა თუ არა ამ სასამართლოში 2013 წლის დეკემბრიდან 2014 წლის 1 სექტემბრამდე პერიოდში რაიმე ცვლილება ჩვენ მიერ გამოთხოვნილი საჯარო ინფორმაციის საკითხებთან დაკავშირებით და/ან მიღებულია თუ არა რაიმე ზომები აღნიშნული მიმართულებით (კერძოდ, დაინსტალირებულია თუ არა ყველა სასამართლო დარბაზში ელექტრონული ჩაწერის შესაბამისი მოწყობილობა).

[35] თბილისის საქალაქო სასამართლოს წერილი (N 2-0665/373724, 02.12.2013)

[36] საიას წერილი გ.04/458.14, (01.09.2014)

[37] თბილისის სააპელაციო სასამართლოს წერილი (N 23061, 03.09.2014).

[38] თბილისის სააპელაციო სასამართლოს წერილი (N 82, 02.12.2013)

აღნიშნულზე თბილისის სააპელაციო სასამართლოდან მივიღეთ პასუხი, რომლის თანახმადაც „სასამართლოს სხდომათა დარბაზებში დაინსტალირებულია ელექტრონული ჩაწერის შესაბამისი მოწყობილობა, სხდომის აუდიო-ვიდეო ჩაწერა ხდება სასამართლო პროცესის ფიქსაციის ტექნიკური სისტემის მეშვეობით სპეციალურ ფორმატში.“

**სხვა სასამართლოებიდან მიღებული პასუხების საფუძველზე გამოიკვეთა, რომ ყველა მათგანი ახორციელებს ყველა სასამართლო პროცესის ჩაწერას.**

სასამართლოებიდან მიღებული პასუხებიდან ასევე ირკვევა, რომ **საზოგადოებრივი მაუწყებელი და საერთო მაუწყებლობის ლიცენზიის მქონე სხვა პირები სხვადასხვა ინტენსივობით სარგებლობენ საერთო სასამართლოების შესახებ ორგანული კანონის მე-13 პრიმა მუხლით მინიჭებულ უფლებამოსილებით.** კერძოდ, ყველაზე ხშირად სასამართლო სხდომის გადაღების უფლებამოსილებით ისარგებლეს ბათუმის საქალაქო სასამართლოში, აქედან საზოგადოებრივმა მაუწყებელმა ისარგებლა 7-ჯერ, ხოლო სხვა მედია საშუალებებმა 20-ჯერ. ქუთაისის საქალაქო სასამართლოში საზოგადოებრივმა მაუწყებელმა 16-ჯერ ისარგებლა, სხვა საშუალებებმა მხოლოდ 2-ჯერ. გორისა და თელავის რაიონულ სასამართლოებში ამ უფლებით ისარგებლეს ორ-ორჯერ. ბოლნისისა და ახალქალაქის რაიონულ სასამართლოებში, ქუთაისის სააპელაციო სასამართლოში და უზენაეს სასამართლოში არც ერთ მაუწყებელს არ უსარგებლია მე-13 პრიმა მუხლით მინიჭებული უფლებამოსილებით.

მოპოვებული ინფორმაციის თანახმად, 2013 წლის 1 ივლისიდან 2013 წლის ნოემბრის ჩათვლით, სისხლის თუ სამოქალაქო სამართლით დადგენილი პასუხისმგებლობის ზომა მე-13 პრიმა მუხლით დარღვევისათვის არც ერთ სასამართლოში არ ყოფილა გამოყენებული.[39] იგივე დაადასტურეს ჟურნალისტებთან ჩატარებულმა შეხვედრებმა და ინტერვიუებმაც.

[39] როგორც უკვე აღინიშნა, ამ ინფორმაციის სტატისტიკურ აღრიცხვას არ აწარმოებენ თბილისის საქალაქო და სააპელაციო სასამართლოები.

## *2.2. მედია საშუალებების მიერ ნორმათა პრაქტიკაში გამოყენება*

### *2.2.1. საზოგადოებრივი მაუწყებლის პრაქტიკის ანალიზი*

საიამ საჯარო ინფორმაცია ასევე გამოითხოვა საზოგადოებრივი მაუწყებლისაგან, კერძოდ:

1. მიღებული ჰქონდა თუ არა საზოგადოებრივი მაუწყებლის ხელმძღვანელ სუბიექტს რაიმე სახის აქტი/გადაწყვეტილება „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის მე-13 პრიმა მუხლის მოთხოვნათა აღსრულების უზრუნველსაყოფად.
2. 2013 წლის 1 ივლისიდან 2013 წლის ნოემბრამდე, რამდენჯერ მიუმართავს ამა თუ იმ მასობრივი ინფორმაციის საშუალებას საზოგადოებრივი მაუწყებლისათვის, მის მიერ სასამართლო პროცესზე გადაღებული ფოტოების, კინო-ვიდეო-აუდიო ჩანაწერების გადაცემის მოთხოვნით; ასეთის არსებობის შემთხვევაში, მაუწყებელს ეთხოვა შესაბამისი მასობრივი ინფორმაციის საშუალებების დაკონკრეტება და იმ საქმეების მითითება, რომლებზეც მსგავსი ჩანაწერები მოუთხოვიათ.

საზოგადოებრივი მაუწყებლის მიერ მოწოდებული პასუხის საფუძველზე ირკვევა, რომ მის ხელმძღვანელ სუბიექტს არ აქვს გამოცემული არანაირი სახის აქტი თუ გადაწყვეტილება „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის მე-13 პრიმა მუხლის მოთხოვნათა აღსრულების უზრუნველსაყოფად. ასევე ირკვევა, რომ არც ერთ მასობრივი ინფორმაციის საშუალებას არ მიუმართავს საზოგადოებრივი მაუწყებლისათვის სასამართლო პროცესზე მის მიერ განხორციელებული ჩანაწერების გადაცემის მოთხოვნით.

### *2.2.2. სხვა მედია საშუალებების პრაქტიკა და მოსაზრებები*

საიამ მედია საშუალებებს[40] სასამართლო პროცესის ფოტო გადაღებასა და კინო-ვიდეო-აუდიო ჩაწერასთან დაკავშირებით გაუგზავნა კითხვარები. მედია საშუალებებს პასუხები უნდა გაეცათ შემდეგი კითხვებისთვის:

1. მიუმართავთ თუ არა მოსამართლისათვის წერილობითი განცხადებით სასამართლო პროცესის ფოტო გადაღების, კინო, ვიდეო და აუდიო ჩანაწერის განხორციელებისათვის;
2. მიმართვის შემთხვევაში, მიეცათ თუ არა სასამართლო პროცესის ფოტო გადაღების, კინო, ვიდეო და აუდიო ჩანაწერის განხორციელების უფლება, უარყოფითი პასუხის შემთხვევაში, უნდა დაესახელებინათ უარის საფუძველი;
3. მიუმართავთ თუ არა საზოგადოებრივი მაუწყებლისათვის სასამართლო პროცესის ჩანაწერის გადმოცემის მოთხოვნით და საზოგადოებრივი მაუწყებლიდან სასამართლო პროცესის ჩანაწერის მიღებისას, შეექმნათ თუ არა პრობლემა. დადებითი პასუხის შემთხვევაში, უნდა აღეწერათ, რა სახის პრობლემა შეექმნათ საზოგადოებრივი მაუწყებლიდან სასამართლო სხდომის ჩანაწერის მიღებისას;
4. ასევე, უნდა დაესახელებინათ, რამდენად დამაკმაყოფილებელი იყო საზოგადოებრივი მაუწყებლიდან მიღებული სასამართლო პროცესის ჩანაწერი.

პასუხი მივიღეთ 26 მედია საშუალებისგან, აქედან 16-ს არ მიუმართავს არც სასამართლოსა და არც საზოგადოებრივი მაუწყებლისთვის სასამართლო პროცესების ფოტო, კინო, ვიდეო და აუდიო ჩაწერასთან დაკავშირებით. ერთს არ მიუმართავს სასამართლოსთვის, მაგრამ მიმართა საზოგადოებრივ მაუწყებელს და მიიღო ჩანაწერი. ცხრამ მიმართა მოსამართლეს სასამართლო პროცესის გადაღებისათვის, აქედან 7-ს მიეცა გადაღების უფლება, ხოლო 2-ს არ მიეცა (ერთის შემთხვევაში, მიზეზად დასახელდა ის, რომ განმცხადებელი არ

[40] საზოგადოებრივ მაუწყებელთან ერთად, ინფორმაცია გამოთხოვნილ იქნა სხვადასხვა საერთო მაუწყებლობის მქონე მედია საშუალებიდან. ინფორმაცია მოგვაწოდეს როგორც ეროვნულმა (ტელეკომპანიები „კავკასია“, „ტაბულა“„ რადიო უცნობი“ და სხვ.), ასევე ადგილობრივმა მაუწყებლებმა (ტელეკომპანიები „ოდიში“, „თანამგზავრი“, და სხვ.) და ბეჭდური მედიის წარმომადგენლებმა („ბორჯომი“, „სამხრეთის კარიბჭე“, და სხვ.)

იყო საერთო ლიცენზიის მქონე მაუწყებელი; მეორე შემთხვევაში, ტელეკომპანიას არ მიეცა გადაღების საშუალება, რადგან ამ უფლებით უკვე სარგებლობდა საზოგადოებრივი მაუწყებელი). ამ ორიდან ერთს საზოგადოებრივი მაუწყებლისთვის არ მიუმართავს, ხოლო მეორემ მიმართა და მიიღო ჩანაწერი. 7 მედია საშუალებიდან, რომლებმაც მიმართეს სასამართლოს და მიიღეს გადაღების უფლება, საზოგადოებრივ მაუწყებელს მიმართა სამმა და ყველა მოთხოვნა დაკმაყოფილდა. დანარჩენ ოთხს არ მიუმართავს.






მიღებული პასუხების მიხედვით, ყველა იმ შემთხვევაში, როდესაც გადაღების უფლებით არ სარგებლობდა საზოგადოებრივი მაუწყებელი, და ამ უფლების მოსაპოვებლად სხვა მედია საშუალებამ დადგენილი წესის დაცვით მიმართა მოსამართლეს, მას მიეცა ფოტო გადაღების, კინო, ვიდეო და აუდიო ჩანაწერის განხორციელების უფლება. ასევე ყველა იმ შემთხვევაში, როდესაც პროცესის გადაღებას ახორციელებდა საზოგადოებრივი მაუწყებელი, ყველა დაინტერესებულ მედია საშუალებას გადაეცა პროცესის ჩანაწერი.

ჟურნალისტებმა ჩვენთან საუბრისას აღნიშნეს, რომ როგორც წესი, ისინი ერთმანეთთან კარგად თანამშრომლობენ და პრაქტიკაში არ იქმნება პრობლემები ჩანაწერის გაზიარების თვალსაზრისით.[41] ასევე აღინიშნა, რომ მედია საშუალებები ერთდროულად არ აყენებენ მოთხოვნას სასამართლოს წინაშე. იმ შემთხვევაში, თუ საზოგადოებრივი მაუწყებელი არ სარგებლობს ვიდეო ჩაწერის უფლებით, სხვა მედია საშუალებები ერთმანეთთან კონსულტაციების საფუძველზე იღებენ გადაწყვეტილებას, რომელი მათგანი მიმართავს სასამართლოს მე-13 პრიმა მუხლით განსაზღვრული უფლებამოსილებით სარგებლობის მოთხოვნით, ხოლო შემდეგ ეს მედია საშუალება ჩანაწერს სხვა მედია საშუალებებს უზიარებს.[42]მიუხედავად იმისა, რომ საზოგადოებრივი მაუწყებლის მხრიდან ჩანაწერის მიღების დროს მედია საშუალებებს პრობლემები არ შექმნიათ, რამდენიმემ გამოთქვა აზრი, რომ უკეთესი იქნებოდა, თავად ეწარმოებინათ გადაღება.

საყურადღებოა ერთი დეტალი - საზოგადოებრივი მაუწყებლისაგან და სხვა მედია საშუალებებისაგან მიღებული პასუხების შედარებისას, გამოიკვეთა, რომ ერთსა და იმავე ფაქტებთან დაკავშირებით მათ განსხვავებული ინფორმაცია მოგვაწოდეს. ეს კი იმაზე მიუთითებს, რომ საზოგადოებრივ მაუწყებელში არ ხდება სხვა მედია საშუალებების მიერ სასამართლო პროცესის ფოტო-ვიდეო-აუდიო ჩანაწერის გამოთხოვნის მიზნით მათთვის მიმართვიანობის და ამ მოთხოვნათა დაკმაყოფილების (ან დაკმაყოფილებაზე უარის თქმის) სტატისტიკური აღრიცხვა.

მედია საშუალებებთან ჩატარებული შეხვედრებისა და ინტერვიუების საფუძველზე, ასევე გამოიკვეთა რამდენიმე მნიშვნელოვანი ხარვეზი

[41] ინტერვიუ ტელეკომპანია „იმედის“ წარმომადგენელთან (14.08.14)

[42] იგივე

და მოსაზრება კანონის ფუნქციონირებასთან დაკავშირებით, რომლებიც ქვემოთ დეტალურად იქნება განხილული.

*<u>საზოგადოებრივი მაუწყებლისათვის მინიჭებული პრივილეგია</u>*

ჩვენ მიერ გამოკითხული პრაქტიკულად ყველა ჟურნალისტი უარყოფითად აფასებს კანონით საზოგადოებრივი მაუწყებლისათვის მინიჭებულ პრივილეგიას, თავად აწარმოოს პროცესის ვიდეო გადაღება, რაც ყველა სხვა მედია საშუალებას *ავტომატურად* და *მთელი პროცესის განმავლობაში* ართმევს პროცესის ვიდეო გადაღების უფლებას.[43]

ერთ-ერთი ჟურნალისტის განცხადებით:

> *„რიგ შემთხვევებში, საზოგადოებრივი მაუწყებელი მხოლოდ პროცესის პირველ რამოდენიმე წუთს იღებს და შემდეგ დარბაზს ტოვებს, ასე მოხდა, მაგალითად, ყვარლის გამგებლის საქმესთან დაკავშირებულ პროცესზე, რომელიც ჩვენთვის მეტად საინტერესო პროცესი იყო. თუმცა, ვინაიდან საზოგადოებრივმა მაუწყებელმა პროცესი მალევე დატოვა, ჩვენთვის პროცესის სრული ვიდეო მასალა არ იყო დროულად ხელმისაწვდომი.“* [44]

მართალია, კანონის თანახმად, პროცესის ვიდეო გადაღებას პარალელურად სასამართლო თავადაც უნდა ახორციელებდეს, თუმცა, ვინაიდან სასამართლოს მიერ ამგვარი ინფორმაციის გაცემის ვადა შესაძლოა 10 დღემდე გაგრძელდეს, სასამართლოს მიერ განხორციელებული ჩანაწერი ვერ იქნება მედიის მიერ გაკეთებული ჩანაწერის რეალური შემცვლელი. ამასთან, როგორც ზემოთ აღინიშნა, ზოგიერთ სასამართლოში ამგვარი ჩანაწერის გაკეთება არ ხორციელდება. ასევე, რიგ შემთხვევებში, ეჭვის ქვეშ დგება სასამართლოს მიერ განხორციელებული ჩანაწერის ხარისხი და მისი ვარგისიანობა მედიის მიზნებისათვის. ერთ-ერთი მედია საშუალების განცხადებით, „სასამართლოების მიერ გადაღებული ვიდეო მასალა ძალიან ცუდი ხარისხისაა და ჟურნალისტებისათვის

[43] ინტერვიუ „საინფორმაციო ცენტრების ქსელის“ წარმომადგენელთან, იმეილ კომუნიკაცია სტუდია „მონიტორის“ წარმომადგენელთან (09.09.14)

[44] იგივე

გამოუსადეგარია.”[45]

მართალია, მოცემულ ეტაპზე არსებობს საფუძველი, რის გამოც, შესაძლოა, თეორიულად გარკვეული გამართლება ჰქონდეს საზოგადოებრივი მაუწყებლისათვის მინიჭებულ ექსკლუზიურ უფლებამოსილებას (მაგ. ის, რომ საზოგადოებრივი მაუწყებელი ფინანსდება სახელმწიფო ბიუჯეტიდან და, შესაბამისად, მეტი ვალდებულებები აკისრია საზოგადოების წინაშე), თუმცა, ცალსახაა, რომ პრაქტიკაში აღნიშნული მოდელი  გარკვეულ დაბრკოლებებს უქმნის სხვა მედია საშუალებების მუშაობას, შესაბამისად, აზარალებს საზოგადოების ინტერესს, იყოს ინფორმირებული სასამართლოს საქმიანობის შესახებ.

*<u>საერთო მაუწყებლობის ლიცენზიის არმქონე მედია საშუალებებისთვის ვიდეო გადაღების უფლების აკრძალვა</u>*

ინტერვიუების დროს, იმ მედია საშუალების წარმომადგენელმა, რომელსაც არ გააჩნდა პროცესის ვიდეო გადაღების უფლება, აღნიშნა, რომ საზოგადოებრივ მაუწყებელს და სხვა საერთო მაუწყებლობის ლიცენზიის მქონე მედია საშუალებებს მათგან განსხვავებული სარედაქციო პოლიტიკა აქვთ; ნაციონალური მედია საშუალებები ძირითადად მხოლოდ რეზონანსულ საქმეებს აშუქებენ, განსაკუთრებით ყოფილი მაღალჩინოსნების საქმეებს,[46] მაშინ როცა, სხვა მედია საშუალებები  დაინტერესებულნი იყვნენ რეგიონში მიმდინარე პროცესების გაშუქებით ან, ზოგადად, სასამართლოს ფუნქციონირებით. რიგი სხვა მედია საშუალებებისათვის ასევე საინტერესოა პროცესები, რომლებიც, შესაძლოა, არ ეხებოდეს საზოგადოებისათვის ცნობილ სახეებს, თუმცა, საინტერესო იყოს მისი სოციალური დატვირთვის ან პრეცედენტული ბუნების გამო. ასეთი პროცესებიც იშვიათად ხვდება ნაციონალური არხების ინტერესის სფეროში.[47]

შესაბამისად, კანონში არსებული შეზღუდვის გამო, იმ პროცესების ჩაწერას, რომლებითაც არ ინტერესდებიან ნაციონალური არხები,

[45] იმეილ კომუნიკაცია სტუდია „ობიექტივის“ წარმომადგენელთან (09.09.14 და 10.09.14)

[46] ინტერვიუები ტელეკომპანია „იმედის“ წარმომადგენელთან (14.08.14) და „საინფორმაციო ცენტრების ქსელის“ წარმომადგენელთან (14.08.14)

[47] იგივე, ასევე ინტერვიუ ბეჭდვური და ონლაინ გამოცემის „ლიბერალის“ წარმომადგენელთან (20.08.14)

ვერც სხვა დაინტერესებული მედია საშუალებები ახერხებენ, რაც ართმევს მათ შესაძლებლობას, ოპერატიულად მიიღონ და გაავრცელონ ვიდეო მასალა მათთვის პრიორიტეტულ თემებზე.

ჟურნალისტები ასევე საუბრობენ იმ განსაკუთრებულ დატვირთვაზე, რაც ვიდეო ჩანაწერს გააჩნია აუდიო ჩანაწერთან შედარებით. მაყურებლისათვის უფრო საინტერესო და ადვილად აღქმადია, როცა პროცესის შესახებ მხოლოდ მესამე პირში არ იღებს ინფორმაციას და კადრების ნახვის შესაძლებლობაც აქვს".[48]

> *„ზოგჯერ ერთი კადრი, მოსამართლის მიმიკა ან ტონი, გაცილებით მეტს ამბობს, ვიდრე ერთგვერდიანი სტატია პროცესის მიმდინარეობის შესახებ. ამავე დროს, თუ ჟურნალისტის მონათხრობს პროცესის შესახებ თან ახლავს კამერით დოკუმენტირებული ფაქტი, მაყურებლის/მკითხველის თვალში მედია საშუალება უფრო სარწმუნოდ და დამაჯერებლად გამოიყურება, ამიტომ კანონში არსებული შეზღუდვა აზარალებს ჩვენს ინტერესს და მნიშვნელოვნად გვიშლის ხელს ჩვენი საქმიანობის ეფექტურად განხორციელებაში."* [49]

ცალკე დაბრკოლებას ქმნის ის გარემოება, რომ თუ მედია საშუალება დარბაზს თავისი ნებით დატოვებს, მოსამართლემ შეიძლება მას დარბაზში დაბრუნება აუკრძალოს. ჟურნალისტების ნაწილი მიიჩნევს, რომ ამ შეზღუდვის არსებობა აბრკოლებს, ერთი მხრივ, საზოგადოებრივ მაუწყებელს და, მეორე მხრივ, სხვა მედია საშუალებებს, პერიოდულად დატოვონ სასამართლო დარბაზი და დროულად მიაწოდონ/მიიღონ სხდომის შესაბამისი ნაწილის ვიდეო ჩანაწერი. ეს გარემოება განსაკუთრებით უარყოფითად მოქმედებს ონლაინ მედიის მუშაობაზე, რადგან ამგვარი მედიის არსი ინფორმაციის ხშირ და სწრაფ განახლებაში მდგომარეობს, რათა მან ინფორმაცია მიაწოდოს მკითხველს პრაქტიკულად მოვლენების განვითარების პარალელურად. არსებული რეგულაციებით კი, ეს შეუძლებელია.[50]

თუმცა, ჟურნალისტთა ნაწილმა აღნიშნა, რომ რიგ შემთხვევებში

---

[48] ინტერვიუ საინფორმაციო სააგენტო „ინტერპრესნიუსის" წარმომადგენელთან (27.08.14)

[49] ინტერვიუები ლიბერალის და საინფორმაციო ცენტრების ქსელის წარმომადგენ-ლებთან.

[50] იგივე

პრაქტიკაში ამ ნორმის მკაცრად დაცვა არ ხდება და ჟურნალისტებს შესაძლებლობა აქვთ, უპრობლემოდ დაბრუნდნენ სასამართლო დარბაზში, რაც დადებითად შეფასდა მათ მიერ.[51]

ცალსახად არახელსაყრელ პირობებში იმყოფებიან ასევე საგამოძიებო ჟურნალისტიკით დაკავებული მედია საშუალებები, რომლებსაც კანონი არ აძლევს პროცესის დამოუკიდებლად გადაღების შესაძლებლობას. მასალის მისაღებად ისინი დამოკიდებული არიან სხვა მედია საშუალებებზე.

აღსანიშნავია, რომ არსებული რეგულაციის პრობლემურობას ის მედია საშუალებებიც აღიარებენ, ვისაც ეს რეგულაციები პრობლემას არ უქმნის. ერთ-ერთი ჟურნალისტის განცხადებით:

> *„საგამოძიებო ჟურნალისტიკით დაკავებულ მედიას შეუძლია უფრო სიღრმეებში ჩავიდეს და მეტი ანალიზი დადოს, ჩვენ კი, შეზღუდული რესურსები და მათგან განსხვავებული ფოკუსი გაგვაჩნია. ჩვენ ყველა პროცესს ვერ გავაშუქებთ.[52] ამიტომ, ალბათ მათაც უნდა ჰქონდეთ შესაძლებლობა, დამოუკიდებლად გადაიღონ პროცესები.“[53]*

> *„ონლაინ მედია საშუალებები ხშირად, ნაციონალურ არხებთან შედარებით, უფრო კრიტიკულები არიან და დეტალურად ამუქებენ სასამართლო პროცესს, მათ შორის, მოსამართლის ქმედებებს, საპროცესო კანონმდებლობის დაცვას პროცესზე და ა.შ. ამიტომ მათ არ უნდა ჰქონდეთ ჩამორთმეული მე-13 პრიმა მუხლით დადგენილი ვიდეო გადაღების უფლება.“[54]*

მედიის მდგრადობის ინდექსის (MSI) თანახმად, სიტყვისა და ინფორმაციის თავისუფლების ხელშეწყობა მოითხოვს, რომ სახელმწიფო ან საზოგადოებრივი მედია არ სარგებლობდეს განსაკუთრებული სამართლებრივი რეჟიმით. ინფორმაციაზე ხელმისაწვდომობის უფლებით ყველა მედია საშუალება თუ ჟურნალისტი თანაბრად უნდა სარგებლობდეს.

შეიძლება ითქვას, რომ აღნიშნული პრინციპის დარღვევა სახეზეა იმ პირობებში, როდესაც განსაკუთრებული პრივილეგიით სარგებლობს

---

[51] ინტერვიუ საინფორმაციო სააგენტო „ინტერპრესნიუსის“ წარმომადგენელთან

[52] ინტერვიუ საინფორმაციო სააგენტო “ინტერპრესნიუსის“ წარმომადგენელთან

[53] ინტერვიუ ტელეკომპანია „იმედის“ წარმომადგენელთან

[54] ინტერვიუ „საინფორმაციო ცენტრების ქსელის“ წარმომადგენელთან

საზოგადოებრივი მაუწყებელი საერთო მაუწყებლობის ლიცენზიის მქონე მედია საშუალებებს შორის, ხოლო ამგვარი ლიცენზიის არმქონე მედია საშუალებას საერთოდ არ აქვს პირდაპირი წვდომა ვიდეო მასალაზე.

*გადაღების უფლების მოსაპოვებლად დადგენილი ერთსაათიანი ვადა*

კანონის მე-13 პრიმა მუხლის თანახმად, თუ საზოგადოებრივი მაუწყებელი არ სარგებლობს პროცესის ვიდეო გადაღების უფლებამოსილებით, ასეთი უფლებამოსილებით სარგებლობა შეუძლია საერთო მაუწყებლობის ლიცენზიის მფლობელ სხვა პირს, სასამართლო სხდომის დაწყების წინ საქმის განმხილველი მოსამართლისათვის წერილობითი განცხადების წარდგენის საფუძველზე. თუ ასეთი განცხადება წარდგენილია ერთზე მეტი საერთო მაუწყებლობის ლიცენზიის მფლობელის მიერ, მოსამართლე უფლებამოსილ პირს შეარჩევს წილისყრის საფუძველზე.

მე-13 პრიმა მუხლის შესასრულებლად, სასამართლოს თავმჯდომარეების მიერ გამოცემულ ბრძანებებში კი დაკონკრეტებულია, რომ მედია საშუალებამ წერილობით უნდა მიმართოს პროცესის დაწყებამდე ერთი საათით ადრე მაინც.

მართალია, სასამართლოს ადმინისტრირების და პროცესების ორგანიზებულად ჩატარების მიზნით, სასამართლოს თავმჯდომარეს უფლება აქვს, გარკვეული წესები შემოიღოს, მათ შორის, სასამართლოს დარბაზში მედიის საქმიანობასთან დაკავშირებით, განსაკუთრებით იმ პირობებში, როდესაც შესაძლოა გადაღების სურვილი გამოთქვას ერთზე მეტმა მედია საშუალებამ და, შესაბამისად, საჭირო გახდეს წილისყრის ჩატარება, ერთსაათიანი ვადის დადგენა არაგონივრული არ არის.

თუმცა, ვფიქრობთ, ბრძანებით დადგენილი ნორმის ამგვარი ფორმულირება გარკვეულ კითხვის ნიშნებს ბადებს კანონთან მისი შესაბამისობის თაობაზე, განსაკუთრებით იმის გათვალისწინებით, რომ იგი ადგენს არა გონივრულ ვადას, რითაც მოსამართლეს დაუტოვებდა შესაძლებლობას, კონკრეტული გარემოებები შეეფასებინა და მათზე დაყრდნობით მიეღო გადაწყვეტილება ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში, არამედ იმპერატიულად განსაზღვრავს ერთსაათიან ვადას. ეს კი ქმნის შესაძლებლობას, მოხდეს კანონით

დადგენილი უფლების ფაქტობრივი ანულირება, კანონქვემდებარე აქტით დაწესებული პროცედურული ნორმის დარღვევის გამო. საკითხი კიდევ უფრო პრობლემური შეიძლება გახდეს იმ შემთხვევაში, თუ სხვადასხვა სასამართლო ერთმანეთისაგან განსხვავებულ ვადას დააწესებს (თუმცა, სასამართლოებიდან ჩვენ მიერ გამოთხოვნილი ბრძანებები შინაარსობრივად აბსოლუტურად იდენტურია და ყველა მათგანი ადგენს ერთსაათიან სტანდარტულ ვადას).

ამასთან, კანონი არ ითვალისწინებს შესაძლებლობას, უფლებამოსილმა მედია საშუალებამ, რომელიც ვერ მოახერხებს, თავიდანვე დაესწროს პროცესს, ვიდეო გადაღების ნებართვა მიიღოს პროცესის რომელიმე მონაკვეთიდან.

ამგვარად, თუ საზოგადოებრივი მაუწყებელი (ან სხვა უფლებამოსილი მედია საშუალება) გადაიღებს მხოლოდ დასაწყისს და შემდეგ პროცესს დატოვებს, არ არსებობს კანონით დადგენილი მექანიზმი, რომლითაც შესაძლებელი იქნება, იგივე ან სხვა მედია საშუალება პროცესზე მოგვიანებით დაბრუნდეს (შევიდეს) და გადაღების უფლებით ისარგებლოს.

რაც შეეხება ერთსაათიანი ვადის ნორმის გამოყენებას პრაქტიკაში, იგი არაერთგვაროვანია. ჟურნალისტებთან შეხვედრების დროს გამოვლინდა შემთხვევები, როდესაც ჟურნალისტებს უარი ეთქვათ პროცესის გადაღებაზე ერთსაათიანი ვადის დარღვევის გამო, ხოლო ერთ შემთხვევაში უარის არგუმენტად დასახელდა ის გარემოება, რომ მოსამართლემ ვერ მოასწრო ერთი საათის ვადაში გაცნობოდა განცხადებას ვიდეო გადაღების უფლების მოპოვების თაობაზე. ასევე გამოვლინდა შემთხვევები (სხვა სასამართლოში), როდესაც ვადის დარღვევა არ გამხდარა დაბრკოლება მე-13 პრიმა მუხლით დადგენილი უფლების რეალიზაციისათვის.[55] ამგვარად, იკვეთება, რომ კონსტიტუციითა და კანონით გარანტირებული უფლების რეალიზაცია პრაქტიკაში იმაზეა დამოკიდებული, რამდენად ვიწროდ (ან ფართოდ) განმარტავს მოსამართლე კანონს და სასამართლოს თავმჯდომარის ბრძანებას.

რაც შეეხება ამ ნორმის პრაქტიკაში გამოყენებას, ჟურნალისტებთან შეხვედრის დროს, პრობლემად დასახელდა სასამართლო პროცესის დროსთან დაკავშირებული ინფორმაციის მიღებაც, განსაკუთრებით იმ პროცესებთან დაკავშირებით, რომლებიც ეხება აღკვეთის

[55] შეხვედრა რეგიონული მედიის წარმომადგენლებთან ბაზალეთში (05.07.14)

ღონისძიების შეფარდებას. ერთ-ერთი ჟურნალისტის განცხადებით, პრაქტიკაში ასეთი პროცესების შესახებ ინფორმაცია არ ქვეყნდება სასამართლოს შენობაში განთავსებულ სპეციალურ დაფაზე და მათ უწევთ გამუდმებით მოსამართლის თანაშემწესა ან ადვოკატებთან დარეკვა, რათა დაადგინონ პროცესის დაწყების დრო.[56] შესაბამისად, ასეთ პროცესებთან მიმართებით, პრაქტიკულად შეუძლებელია ერთსაათიანი ვადის დაცვა.

კვლევის ფარგლებში გამოვლინდა ერთი შემთხვევა, როდესაც ჟურნალისტს მოსამართლემ განუმარტა, რომ სასამართლოში გადაღების უფლება მხოლოდ საზოგადოებრივ მაუწყებელს აქვს და ჟურნალისტმა საზოგადოებრივ მაუწყებელს უნდა მიმართოს (ჟურნალისტის თქმით, მოსამართლის მხრიდან კანონის ამგვარი განმარტება განაპირობა იმან, რომ გახმაურებული საქმე განიხილებოდა და სასამართლოს მისი გაშუქება არ სურდა);[57] ასევე გამოვლინდა ერთი შემთხვევა ზუგდიდის რაიონულ სასამართლოში, როდესაც მედია საშუალებას უარი ეთქვა პროცესის გადაღებაზე ნებართვის მოპოვების ერთსაათიანი გონივრული ვადის დარღვევის გამო. თუმცა, იმავე სასამართლოში საზოგადოებრივმა მაუწყებელმა 8-ჯერ ისარგებლა ჩაწერის უფლებით.

*<u>გადაღებისათვის განკუთვნილი ადგილი</u>*

როგორც ზემოთ აღინიშნა, ბრძანების თანახმად, გადაღების განხორციელება შესაძლებელია მხოლოდ სასამართლოს მიერ წინასწარ განსაზღვრული ადგილიდან. ჟურნალისტთა ნაწილმა აღნიშნა, რომ ამგვარი შეზღუდვა ზოგჯერ მოუხერხებელია და უინტერესოს ხდის ვიდეო მასალას. „ამ რეგულაციის ფარგლებში, მაგალითად, მოწმის გადაღება მხოლოდ ზურგიდან არის შესაძლებელი, რაც მაყურებლისთვის უინტერესოა.“[58]

*<u>მედიისთვის ხელსაყრელი სამუშაო გარემოს შექმნა</u>*

მნიშვნელოვანია, რომ სახელმწიფომ მედიასა რამ ხოლოდ ნორმატიულ დონეზე მიანიჭოს სასამართლო პროცესის გადაღების უფლება,

[56] ინტერვიუ „საინფორმაციო ცენტრების ქსელის“ წარმომადგენელთან

[57] შეხვედრა რეგიონული მედიის წარმომადგენლებთან ბაზალეთში

[58] ინტერვიუ საინფორმაციო სააგენტო „ინტერპრესნიუსის“ წარმომადგენელთან

არამედ ასევე პრაქტიკაში შეუქმნას სათანადო პირობები აღნიშნული უფლებით სარგებლობისათვის. კერძოდ, სასამართლოებმა უნდა უზრუნველყონ პროცესების დროისა და ადგილის შესახებ ინფორმაციის ხელმისაწვდომობა და ადეკვატური პირობები (სივრცე, ინფრასტრუქტურა) დაინტერესებული საზოგადოების დასასწრებად, აუცილებელი და პროპორციული ლიმიტის ფარგლებში.[59] კერძოდ, ყურადღება უნდა მიექცეს ისეთ ფაქტორებს, როგორიცაა, მაგალითად, პოტენციური ინტერესი პროცესის მიმართ, პროცესის ხანგრძლივობა და ა.შ.[60] კვლევის ფარგლებში ჩატარებული ინტერვიუების შედეგად ამ მიმართულებით რაიმე მნიშვნელოვანი პრობლემა არ გამოკვეთილა, გარდა აღკვეთის ღონისძიების შეფარდებასთან დაკავშირებული სასამართლო პროცესების დროისა და ადგილის თაობაზე ინფორმაციის მოძიების პრობლემისა.

თუმცა, როგორც რამდენიმე ჟურნალისტმა აღნიშნა, რეზონანსულ საქმეებთან დაკავშირებით შეიძლება იმის პროგნოზირება, რომ პროცესისადმი მედიის დაინტერესება ჩვეულებრივზე მაღალი იქნება; შესაბამისად, სასამართლო ხელისუფლებას შეუძლია, პროცესები იმ დარბაზებში ჩაატაროს, სადაც არსებობს ერთზე მეტი კამერის განთავსების შესაძლებლობა.

## *მანდატურის უფლებამოსილება*

როგორც უკვე აღინიშნა, ბრძანების თანახმად, მნიშვნელოვანი უფლებამოსილება აქვს მინიჭებული მანდატურს. თავისთავად, ამგვარი უფლებამოსილების მისთვის მინიჭება არ ეწინააღმდეგება კანონს, თუმცა, მნიშვნელოვანია, რომ უფლებამოსილება კეთილსინდისიერად იყოს გამოყენებული პრაქტიკაში და მანდატურმა ხელი არ შეუშალოს იმ პროცესის განხორციელებას, რომლის ხელშეწყობის მიზნითაც მას ეს უფლებამოსილებები აქვს მინიჭებული.

ამ საკითხთან მიმართებით ჟურნალისტებს ერთმანეთისგან განსხვავებული გამოცდილება აქვთ. ჩვენთან საუბრისას, ერთ-ერთმა მათგანმა აღნიშნა, რომ მანდატურები კარგ დახმარებას უწევენ მედიის წარმომადგენლებს, უზრუნველყოფენ საკუთარი ნებით

[59] *Van Meurs v the Netherlands*, HRC Communication 215/1986, UN Doc CCPR/C/39/D/215/1986 (1990), para 6.2.

[60] *Legal Digest on International Fair Trial Rights*, OSCE/ODIHR, 2012

დარბაზიდან გასული ჟურნალისტების დაბრუნებისთვის ნებართვის მიღებას მოსამართლისაგან სხდომის მიმდინარეობის დროს, ასევე უზრუნველყოფენ ჩაწერილი ვიდეო მასალის უხმაუროდ გაცვლას ჟურნალისტებს შორის და ა.შ.[61] თუმცა, სხვებმა აღნიშნეს, რომ ზოგჯერ მანდატურები ისე მოძრაობენ სასამართლო სხდომის დარბაზში, რომ ეს ხელს უშლის კადრების გადაღების პროცესს.[62]

## III. საკანონმდებლო რეგულაციისა და პრაქტიკის ანალიზის შედეგად გამოვლენილი ხარვეზები

### *3.1. სასამართლოს საქმიანობის მარეგულირებელ ნორმებთან დაკავშირებული ხარვეზები:*

არც კანონით და არც შესაბამისი ბრძანებებით არ არის განსაზღვრული შემდეგი საკითხები:

- რა ფორმით და ვადით ინახება/არქივდება სასამართლოს მიერ განხორციელებული სხდომის ჩანაწერები;
- რა წესის და პირობების დაცვით არის შესაძლებელი რიგი პირების (მაგ. დარბაზში მყოფი არასრულწლოვნების) თუ ნივთების (მაგ. მხარეთა მაგიდაზე არსებული დოკუმენტების ან მტკიცებულებების) გადაღება.

### *3.2. მედიის საქმიანობის მარეგულირებელ ნორმებთან დაკავშირებული ხარვეზები:*

არც კანონით და არც შესაბამისი ბრძანებებით არ არის განსაზღვრული შემდეგი საკითხები:

- სასამართლო პროცესების ფოტოგადაღების, კინო, ვიდეო და აუდიო ჩაწერის უფლებას კანონმდებელი მხოლოდ საერთო მაუწყებლობის ლიცენზიის მფლობელებს ანიჭებს, რის გამოც სასამართლო პროცესების გადაღების უფლებით ვერ სარგებლობენ ინტერნეტგამოცემები, გაზეთები, ჟურნალისტურ გამოძიებაზე მომუშავე ჟურნალისტები, ბლოგერები და სხვა მედია საშუალებები;

[61] შეხვედრა საინფორმაციო სააგენტო „ინტერპრესნიუსის“ წარმომადგენელთან

[62] შეხვედრა რეგიონული მედიის წარმომადგენლებთან ბაზალეთში

- კანონმდებლობით არ არის განსაზღვრული საზოგადოებრივი მაუწყებლის მიერ ჩანაწერთა შენახვის წესი და ვადა;
- არ არის დარეგულირებული წილისყრის ჩატარების წესი და პროცედურა, რომელიც მოსამართლემ უნდა ჩაატაროს პროცესის გადაღებაზე უფლება მოსილი სხვა მედიასაშუალების გამოსავლენად იმ შემთხვევაში, თუ საზოგადოებრივი მაუწყებელი არ სარგებლობის ამ უფლებით.
- დადგენილი არ არის გონივრული ვადა, რა ვადაშიც საზოგადოებრივმა მაუწყებელმა წინასწარ უნდა გამოხატოს პროცესის გადაღების სურვილი. შესაბამისად, არც კანონით და არც ბრძანებით არ არის გარანტირებული ეფექტური მექანიზმი, რომ, თუკი საზოგადოებრივი მაუწყებელი არ აპირებს ამ უფლებით სარგებლობას, სხვა მაუწყებლებმა ამის შესახებ დროულად შეიტყონ. ამგვარმა ხარვეზმა პრაქტიკაში შესაძლოა გაუგებრობა წარმოშვას, ვინაიდან სხვა მაუწყებლებმა შეიძლება ივარაუდონ, რომ პროცესს საზოგადოებრივი მაუწყებელი გადაიღებს და ამ მოლოდინის გამო გაუშვან გადაღების უფლების მოსაპოვებლად წინასწარ მიმართვისათვის დადგენილი გონივრული ვადა. თუმცა, რიგ შემთხვევებში, შესაძლოა აღმოჩნდეს, რომ მაუწყებელს ასეთი განზრახვა არ ჰქონია, ან მოხდა მის გეგმებში გაუთვალისწინებელი ცვლილება და იგი ვეღარ ახერხებს პროცესის გადაღებას.
- იმ შემთხვევაში, თუ მედია საშუალებები თადარიგს წინასწარ დაიჭერენ და მაინც მიმართავენ სასამართლოს გონივრულ ვადის დაცვით, არც კანონით და არც ბრძანებით არ არის დადგენილი სასამართლოს ვალდებულება (ვადა და ფორმა), შეატყობინოს სხვა მაუწყებლებს იმის შესახებ, რომ პროცესის გადაღების სურვილი საზოგადოებრივმა მაუწყებელმა გამოთქვა და, შესაბამისად, მათ შორის წილისყრა აღარ გაიმართება.
- ინტერვიუების დროს გაირკვა, რომ საზოგადოებრივი მაუწყებელი ზოგჯერ მხოლოდ პროცესის დასაწყისს იღებს რამდენიმე წუთის განმავლობაში და შემდეგ დარბაზს ტოვებს (ასეთი იყო, მაგალითად, „ყვარლის გამგებლის საქმე“);[63]

[63] ინტერვიუ "საინფორმაციო ცენტრების ქსელის" წარმომადგენელთან.

კანონი კი ისეა ფორმულირებული, რომ, ასეთ შემთხვევაში, სხვა მედია საშუალებებს აღარ აქვთ უფლება, საზოგადოებრივი მაუწყებლის მიერ დარბაზის დატოვების შემდეგ გააგრძელონ პროცესის გადაღება. კანონი ასევე არ განსაზღვრავს ერთი მედია საშუალების მიერ მეორეს ჩანაცვლების შესაძლებლობას მაშინ, როცა მოსამართლის გადაწყვეტილებით ხდება იმ მედია საშუალების დარბაზიდან გაძევება, რომელიც აწარმოებს პროცესის გადაღებას. ეს კი იმას ნიშნავს, რომ ერთი მედია საშუალების გაძევების შემთხვევაში, პრაქტიკულად იკარგება პროცესის ვიდეო გადაღების შესაძლებლობა. მართალია, ჩვენი კვლევის ფარგლებში, პრაქტიკაში ასეთი შემთხვევა არ გამოვლენილა, თუმცა, თეორიულად შესაძლებელია, რომ არასასურველი კადრების გადაღების თავიდან აცილების მიზნით, მოსამართლემ მარტივად შეუშალოს ხელი ასეთი კადრების გადაღებას და მათ ოპერატიულად გავრცელებას საზოგადოებაში.

- მართალია, მედია საშუალებას კანონი აძლევს უფლებას, სასამართლოდან გამოითხოვოს მისთვის საინტერესო სხდომის ჩანაწერი, თუმცა, იმ პირობებში, როდესაც სასამართლოს არ აკისრია ამ ინფორმაციის დაუყოვნებლივ გაცემის ვალდებულება და, გამომდინარე იქედან, რომ ინფორმაცია მალფუჭებადი პროდუქტია, ვფიქრობთ, ეს შესაძლებლობა არ წარმოადგენს პროცესის თავად მედიის მიერ გადაღების ჯეროვან ალტერნატივას.
- სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 85-ე მუხლი ითვალისწინებს აუდიო-ვიდეო გადაღების პროცედურის დამრღვევი პირის გაძევებამდე მისი გაფრთხილების ვალდებულებას, რაც უცოდინარობით ან გაუფრთხილებლობით გამოწვეული ქმედების შედეგად პირის გაძევებისაგან დაცვის გარანტიას წარმოადგენს. თუმცა, ამგვარი ჩანაწერი არ გვხვდება სამოქალაქო საპროცესო კოდექსის შესაბამის (212-ე) მუხლში.
- თუ მედია საშუალებას (მის წარმომადგენელს) გააძევებენ სასამართლო დარბაზიდან გადაღების წესის დარღვევისათვის, როგორც სისხლის, ასევე სამოქალაქო საპროცესო კოდექსის თანახმად, იგი გაძევებულად ჩაითვლება იმავე ინსტანციის სასამართლოში ამ ბრალდების საქმის განხილვის

დასრულებამდე. სასამართლო სხდომის დარბაზიდან გაძევების შესახებ სასამართლო სხდომის თავმჯდომარის განკარგულება, პირს, რომლის მიმართაც გამოყენებულ იქნა აღნიშნული ღონისძიება, გადაეცემა განკარგულების გამოტანიდან არაუგვიანეს 24 საათისა, რომელიც შეიძლება გასაჩივრდეს ასლის ჩაბარებიდან 48 საათის ვადაში. ამგვარად, გასაჩივრების უფლება ისეა ფორმულირებული, რომ გაძევებული მედია საშუალების წარმომადგენელი ვერ დაბრუნდება იმავე სასამართლო სხდომაზე. ეს კი მნიშვნელოვნად ზღუდავს მისი ფუნქციისა და კანონიერი უფლების განხორციელებას და აზარალებს საჯარო ინტერესს. მართალია, ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 47-ე მუხლის თანახმად, უსაფუძვლოდ გაძევებულ მედია საშუალებას შეუძლია მოითხოვოს ზიანის ანაზღაურება, თუმცა, პრაქტიკაში აღნიშნული მუხლის ამ მიზნით გამოყენების მაგალითები ჩვენთვის უცნობია.

- ასევე, პრაქტიკაში შეიძლება გარკვეული ბუნდოვანება გამოიწვიოს იმის დადგენამ, მედია საშუალების წარმომადგენლის გაძევების შემთხვევაში, ეს კონკრეტული პირი (ინდივიდი) ჩაითვლება გაძევებულად იმავე ინსტანციის სასამართლოში საქმის განხილვის დასრულებამდე თუ მთლიანად მედია საშუალება. თუმცა, ვინაიდან კვლევის ფარგლებში არ გამოვლინდა სანქციის დაკისრების მაგალითები, შეუძლებელია იმაზე მსჯელობა, თუ როგორ მოხდება ზემოაღნიშნული ნორმის ინტერპრეტაცია პრაქტიკაში.

## IV. რეკომენდაციები

ყოველივე ზემოთ თქმულიდან გამომდინარე, საკანონმდებლო ნორმებში არსებული ხარვეზების გამოსწორების მიზნით, მიზანშეწონილია განხორციელდეს შემდეგი:

### *საქართველოს პარლამენტის მიერ განხორციელდეს შემდეგი საკანონმდებლო ცვლილებები:*

მე-13 პრიმა მუხლი ჩამოყალიბდეს იმგვარად, რომ საზოგადოებრივი მაუწყებლის მიერ პროცესის გადაღება ყველა სხვა დაინტერესებულ მედია საშუალებას არ ართმევდეს პროცესის გადაღების უფლებას.

მე-13 პრიმა მუხლი ჩამოყალიბდეს იმგვარად, რომ სასამართლო პროცესის ფოტო-ვიდეო-აუდიო გადაღების უფლება არ ეკუთვნოდეთ მხოლოდ საერთო მაუწყებლობის ლიცენზიის მფლობელ მედია საშუალებებს, არამედ - ყველა დაინტერესებულ მედია საშუალებას.

განისაზღვროს სასამართლოს მიერ განხორციელებული სასამართლო პროცესის ჩანაწერების შენახვის ვადა და წესი.

განისაზღვროს საზოგადოებრივი მაუწყებლის მიერ განხორციე-ლებული სასამართლო პროცესის ჩანაწერების შენახვის ვადა და წესი.

განისაზღვროს, რა წესის და პირობების დაცვით არის შესაძლებელი რიგი პირების (მაგ. დარბაზში მყოფ არასრულწლოვანთა) თუ ნივთების (მაგ. მხარეთა მაგიდაზე არსებული დოკუმენტების ან მტკიცებულებების) გადაღება.

როგორც სამოქალაქო, ასევე სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსებში განხორციელდეს ცვლილებები, რათა სხდომის მონაწილეთა დარბაზიდან გაძევების თუ დაჯარიმების მარეგულირებელმა ნორმებმა ხელი არ შეუშალოს მედიას სასამართლო პროცესის შესახებ საზოგადოების სრულყოფილ და დროულ ინფორმირებაში.

დადგინდეს საჩივრის წარდგენის და სხდომის დაწყებამდე მისი განხილვისა და გადაწყვეტის წესი და პროცედურა იმ შემთხვევისათვის, თუ მედია საშუალებას უარს ეტყვიან სასამართლო დარბაზში შეშვებაზე ნებისმიერი მიზეზით, რომელიც არ არის გათვალისწინებული კანონით (ბრძანებით) ან არ ეწინააღმდეგება მას. ვფიქრობთ, საჩივრის შეტანა უნდა აჩერებდეს სასამართლოს სხდომის დაწყებას; განხილვა უნდა მოხდეს მოსამართლის მიერ ზეპირი წესით; დაუსაბუთებლად გაძევებულ მედია საშუალებას უნდა ჰქონდეს ზიანის ანაზღაურების მიღების შესაძლებლობა.

სასურველია, კანონმა მედიისათვის პროცესის ღიაობის განსხვავებული სტანდარტები დააწესოს, ერთი მხრივ, სისხლისა და ადმინისტრაციული საქმეებისათვის, ხოლო მეორე მხრივ, სამოქალაქო საქმეებისათვის.

განისაზღვროს სასამართლო პროცესის პირდაპირ ეთერში გადაცემის წესი და პირობები და ამ უფლების შეზღუდვის კანონიერი საფუძვლები.

**თბილისის საქალაქო და სააპელაციო სასამართლოებმა:**

უზრუნველყონ ყველა სასამართლო სხდომის აუდიო-ვიდეო ჩაწერა და მედია საშუალებების მიერ გადაღების უფლების მოპოვებასთან დაკავშირებით გაკეთებული მიმართვების სტატისტიკის წარმოება.

**სასამართლოების თავმჯდომარეებმა:**

შეიტანონ ცვლილებები მათ მიერ გამოცემულ ბრძანებებში და ვიდეო გადაღების უფლების მოსაპოვებლად მიმართვის წარდგენისათვის დაწესებული ერთსაათიანი ვადის ნაცვლად დააწესონ გონივრული ვადა.

## V. დასკვნა

2013 წელს განხორციელებული ცვლილება საერთო სასამართლოების შესახებ ორგანულ კანონში სასამართლო სისტემის გამჭვირვალობისა და ანგარიშვალდებულების მიმართულებით გადადგმული მნიშვნელოვანი ნაბიჯია. თუმცა, პრაქტიკამ აჩვენა, რომ საკანონმდებლო რეგულაციები გადახედვას საჭიროებს, ერთი მხრივ, მედიის (საზოგადოების), მეორე მხრივ კი, მართლმსაჯულებისა და სხვა ლეგიტიმური ინტერესების უკეთ დაბალანსების მიზნით. მაგალითად, გადახედვას საჭიროებს ისეთი საკითხები, როგორიცაა საზოგადოებრივი მაუწყებლისათვის მინიჭებული უპირობო პრივილეგია, აწარმოოს პროცესის ვიდეო გადაღება, პროცესიდან მედიის გაძევების შესახებ მიღებული გადაწყვეტილების გასაჩივრების წესი და პროცედურა და ა.შ.

პრაქტიკის შესწავლამ აჩვენა, რომ მედიის ინტერესი სასამართლო პროცესების მიმართ არ არის იმდენად დიდი, რომ გონივრული და გამართლებული იყოს პროცესის ვიდეო გადაღების უფლების შეზღუდვა და მისი მხოლოდ ერთი მედია საშუალებისათვის მინიჭება. ასევე, გაუმართლებელია საგამოძიებო ჟურნალისტების, ინტერნეტ-მედიისა და სოციალური მედიის წარმომადგენელთა დატოვება პროცესის ვიდეო გადაღების უფლების მიღმა.

კანონით უკვე მიღწეულია კონსენსუსი იმაზე, რომ სასამართლოს გახსნა მედიისათვის აუცილებელია საზოგადოებაში სასამართლოსადმი ნდობის აღდგენისა და გაძლიერებისათვის,

ასევე, საზოგადოების წინაშე სასამართლო სისტემის ანგარიშვალდებულების გაზრდისათვის. შესაბამისად, არალოგიკური და დაუსაბუთებელია, ვიდეო გადაღების უფლება შეზღუდული ჰქონდეთ იმ მედია საშუალებებს, რომლებიც ხშირად სხვებზე მეტად არიან დაინტერესებული, სისტემატურად მიადევნონ თვალყური მართლმსაჯულების სისტემაში მიმდინარე პროცესებს და დადონ ამ პროცესების სიღრმისეული ანალიზი.

დაბოლოს, სასამართლო პროცესის მედიაში გაშუქების დროს ყოველთვის არსებობს პოტენციური კონფლიქტი სამართლიანი სასამართლოს, პირადი და ოჯახური ცხოვრების ხელშეუხებლობასა და ინფორმაციის თავისუფლებებს შორის. ამიტომაც საჭიროა, ამ განსხვავებული ინტერესების დაბალანსება მოხდეს ყოველი კონკრეტული საქმის ფაქტობრივი გარემოებების გათვალისწინებით.[64] ბუნებრივია, არსებობს რისკი, რომ ამგვარი ბალანსი ყოველთვის არ იქნება დაცული და, შეიძლება, კონკრეტულ შემთხვევაში, რომელიმე ლეგიტიმური ინტერესი დაზარალდეს. მიუხედავად ამისა, ვფიქრობთ, საუკეთესო გამოსავალი ამ რისკების სწორად იდენტიფიცირებასა და პრევენციაში მდგომარეობს და არა - მედიისათვის პროცესის დახურვაში.

[64] Recommendation Rec(2003)13 of the Committee of Ministers to member states on the provision of information through the media in relation to criminal proceedings *(Adopted by the Committee of Ministers on 10 July 2003 at the 848th meeting of the Ministers' Deputies).*